ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 6 დეკემბერი, 2018 №289 (7834) ფასი: 60 თეთრი

## შალვა შავგულიძე: „ჩვენი მთავარი მოთხოვნა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლაა“



გვ.5

## 6 დეკემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

**ამ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი**

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



# „ოცნების“ სასარგებლოდ არჩევნებს მიშა მაჭავარიანი აყალბებს“



ლადო სადღობელაშვილი: „პატრიოტთა ალიანსი მთავარი ოპოზიციური ძალა არ გახდება“



გვ.2



გვ.3

## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებამ“ ან საკადრო რევოლუცია უნდა მოახდინოს, ან ხელისუფლებიდან წავიდეს“

„ქართველი ხალხი ესკალაციისთვის მზად არ არის“



## ეკა ბესელია: „ნაცმოძრაობის ულტიმატუმებზე დიალოგი არასწორად მიმაჩნია“

გვ.3



## ვახტანგ მაისაია: „სემენჩენკო საქართველოში არ დაიჭირეს, რადგან მას იმუნიტეტი იცავს“

გვ.4

**სამართალი**



## ნათელა გობაძე: „ვეფხია ბაქრაძემ შვილი მცირეწლოვანი ბავშვების თვალწინ მოიკლა. ის უვადო პატიმრობას იმსახურებს“

გვ.7



## 4 ტყვია ჰქონდა ნასროლი, 1 თავის არეში, 1 გულში და 2 მუცელში

ფოკაში მკვლელობის დეტალები





## თურქეთში საქართველოს ორი მოქალაქე ძარცვის ბრალდებით დააკავეს

**ეკონომიკა**

გვ.6

## ფონდი „ქართუ“: „სესხების განულებისთვის სიები მიმდინარე კვირის განმავლობაში დაზუსტდება“





## „ომეგა ჯგუფი“: სახელმწიფო მარკებს უკანონოდ არ გვაძლევს, კომპანია ისევ გაჩერებულია



## თბილისი როგორი დარდიანი ქალაქიც იყო, უამრავი პრობლემებით დახუნძლული, ისეთია ახლაც

ISSN 1987-9385

**2** „ივანიშვილი ფეხქვეშ თელავს თელაველების ნებას“

**5** ბიძინა გუჯაბიძე: „ხალხისთვის აუცილებელი მუშაობა ინაუგურაციის შემდეგ დაიწყება“

**3** სოსო ცინცაძე: „რევოლუციის საფრთხეს ვერ ვხედავ, ოპოზიციას ქარიზმატული ლიდერი არ ჰყავს“

**8** სლოვაკეთმა ქვეყნიდან რუსი დიპლომატი გააძევა

# „ოცნების“ სასარგებლოდ არჩევნებს მიშა მაჭავარიანი აყალბებს“

## ლადო სადღობელაშვილი: „პატრიოტთა ალიანსი მთავარი ოპოზიციური ძალა არ გახდება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არ აღდგა სამართლიანობა, როგორ ინაწილებენ რუსეთში წასული საქართველოს მოქალაქეების ხმებს ყოფილი და ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რატომ ვერ დაუპირისპირდება პატრიოტთა ალიანსი ივანიშვილს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადი სადღობელაშვილი ესაუბრება.



**ლადო სადღობელაშვილი:**

– რამდენიმე დღის წინ ჩვენ გავიგეთ, რომ უკრაინელებმა ცნობილი ჯალათი მეგიზ ქარდავა ფაქტიურად გაათავისუფლეს. შინაპატიმრობის მისჯა თავისუფლების ტოლფასია.

ცოტა ხნის წინ შემთხვევით ხელთ ჩამივარდა მეგიზ ქარდავას ყალბი საბუთი, რომლის მეშვეობითაც, ეს ჯალათი გადაადგილდებოდა უკრაინის და ევროპის ტერიტორიაზე.

როგორც წყარომ შემატყობინა, სწორედ ამ ყალბი საბუთის საფუძველზე იქნა დაკავებული, გადაყვანილი სადეპორტოში, სადაც რამდენიმე საათი დაჰყო (პროცედურა ითვალისწინებს). საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დროულად რომ ემოქმედა, ეს ადამიანი ახლა საქართველოში იქნებოდა, სავარაუდოდ, გლდანის საპყრობილეში!

მას შემდეგ. რაც საქართველოდან არ იქნა „მოთხოვნილი“ მისი ექსტრადირება, მეგიზ ქარდავამ მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი.

მე პირადად მაქვს ეჭვი, რომ იუსტიციის სამინისტროში ზოგიერთი თანამშრომელი ხელს აფარებს ნაცების ექსტრადირებას.

***– ვინ შეიძლება ხელს აფარებდეს ნაცების ექსტრადირებას? მეგიზ ქარდავას შესახებ ყველამ ყველაფერი იცის და მისთვის ხელის დაფარება ასეთი იოლია?***

– მარტო მეგიზ ქარდავა? ზურაბ ადეიშვილს ეძებს ვინმე? ამ ერეკლე კოდუა რატომ დადის თავისუფლად. აღარაფერს ვამბობ მიხეილ სააკაშვილზე. სააკაშვილთან დაკავშირებით გუბაზ სანიკიძე ძალიან საინტერესო ინიციატივით გამოვიდა, რასაც სათანადო ყურადღება არავინ მიაქცია.

გუბაზი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ მათ მიშას საქართველოს მოქალაქეობა დაუბრუნონ. მაშინ გამოჩნდება, სააკაშვილს ეშინია საქართველოში ჩამოსვლის თუ ხელისუფლებას ეშინია მიშას ჩამოსვლის.

ამ ტიპებისთვის ხელის დაფარება ადვილი არ არის, მაგრამ ეტყობა, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი მფარველობს ამ კრიმინალებს.

***– რამდენად მაღალია ამ მფარველის თანამდებობა?***

– ნაცებს თავისი ხალხი ყველა უწყებაში ჰყავთ, მაგრამ ექსტრადირების საკითხი იუსტიციის სამინისტროს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე ნაცების მფარველი ამ უწყების მაღალჩინოსანი უნდა იყოს.

მოვუწოდებ იუსტიციის მინისტრს, დაინტერესდეს აღნიშნულით და უმკაცრესად დაისაჯოს ის პირი, ვინც პასუხისმგებელია კრიმინალების ექსტრადირებაზე.

მინდა კარგად გაიგოს თქვენმა მკითხველმა, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში ბობოლა ნაცების ექსტრადირება არ მოხდეს.

***– კიდევ ერთხელ რომ დაგვპირდნენ, კიდევ ერთხელ გადაგვაგდეს?***

– კარგით რა, რა სამართლიანობის აღდგენა. ბობოლა ნაცები საქართველოში რომ ჩამოიყვანონ, უარყოფითი მუხტი გაიზრდება. აქ მუშაობს ნიუტონის მესამე კანონი – ქმედება უდრის უკუქმედებას. რასაც ესენი ჩაიდენენ, იმის უკუქმედებას მიიღებენ. ეს უკუქმედება რომ არ უნდათ, მაგიტომაც არ ითხოვენ ამ კრიმინალების ექსტრადირებას.

ეს ტიპები გაქცეულები მაინც არიან, მაგრამ ხათუნა კალმახელიძე ხომ საქართველოშია. ეს ქალი იყო ციხეების მინისტრი. მისი მინისტრობის დროს იყო სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ამ დროს მის წინააღმდეგ საქმეც კი არ არის აღძრული.

დამიჯერეთ, ესენი ბობოლა ნაცებს არ შეეხებიან. არ უნდათ, რომ ევროპიდან რეპორტები წამოვიდეს. „ოცნება“ ამაზე პასუხის გამცემი არაა და ურჩევნიათ, არავინ დააკავონ.

***– ევროპელებისგან საყვედურის მოსმენას ქართველი ხალხის გადაგდება ურჩევნიათ?***

– ფაქტია, რომ ასეა. ქართველი ხალხის გადაგდება უფრო იოლია. პასუხსაც არავინ ითხოვს.

ამათ სამართლიანობის აღდგენა რომ უნდოდეთ, გიგი უგულავას გამოუშვებდნენ ციხიდან? ტიპს რამდენიმე ათეული მილიონი ლარი აპატიეს. ამ დროს 3.000 ლარი არ აპატიეს ოთო აბესაძეს, რომელიც „ოცნების“ თავგადაკლული მომხრე იყო.

***– საერთოდ უნდა დავივიწყოთ სამართლიანობის აღდგენა?***

– სამართლიანობის აღდგენა აუცილებლად მოხდება, მაგრამ არა ამ პირობებში. ძალოვანი სტრუქტურები სულ ნაციონალებით არის სავსე. მე ხომ ციხეში გავატარე რამდენიმე თვე და იქიდან გაოგნებული გამოვედი – ბადრაგები ბაჩო ახალაიას მისტიროდნენ.

***– პოლიცია რომ მერაბიშვილს მისტირის, ვიცი, მაგრამ ციხის თანამშრომლები თუ ახალიას მისტიროდნენ, ვერ წარმოვიდგენდი.***

– მაგას ვერც მე წარმოვიდგენდი, მაგრამ ყველაფერი საკუთარი ყურით მოვისმინე. ვკითხე კიდევაც, რატომ მისტირიხართ ბაჩოსო და მითხრეს, ყველა დღესასწაულზე პრემიებს გვაძლევდაო.

პროკურატურაც ნაცებითაა სავსე. მთავარი პროკურორის გარდა, იქ მგონი ყველა ნაცია. მაგათ თუ არ გაყრიან, არაფერი არ გამოვა.

თავის დროზე შსს-დან სააკაშვილის დროს გაყარეს შევარდნაძის კადრები. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. სხვათა შორის, გახარიაც იწყებს რაღაც ცვლილებებს შსს-ში. იმედი მაქვს, რომ იქ სერიოზული წმენდა ჩატარდება.

***– გახარიამ შეიძლება წმენდის ჩატარება ვერ მოასწროს, როგორც ამბობენ, პრემიერად გადაჰყავთ.***

– პრემიერად ალბათ გადაიყვანენ, მაგრამ ჯერ არა. მან შსს-ში კარგი ცვლილებები უნდა დაიწყო და ეს საქმე ბოლომდეა მისაყვანი.

იუსტიციის სამინისტროშიც საჭიროა ცვლილებები. იქ ნაცები ისე არიან გათავხედებული, რომ ექსტრადირების საქმესაც კი შლიან.



რატომღაც მგონია, რომ ნაცების წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა არ დაიწყება. ესენი გახდნენ მთავარი ოპოზიციური ძალა და დამთავრდა.

***– მთავარ ოპოზიციურ ძალად გახდომაზე პატრიოტთა ალიანსს აქვს პრეტენზია.***

– სულ ტყუილად. ნაცები ამ ადგილს არავის დაუთმობენ. ნაცები და ქოცები ერთნაირად აყალბებენ არჩევნებს.

***– რას ნიშნავს ერთნაირად?***

– ორივე მათგანს აქვს ყალბი პირადობის მოწმობები. ამ მოწმობებით ხდება არჩევნების გაყალბება. ამ სქემით მუშაობდა მოქკავშირი. ეს სქემა ხათუნა გოგორიშვილმა და მიშა მაჭავარიანმა მოიფიქრეს. გოგორიშვილი ნაცებს აძლევს კონსულტაციებს, მაჭავარიანი – ქოცებს.

***– მაჭავარიანი ხომ წავიდა ცოტა ხნით პოლიტიკიდან?***

– კი არ წავიდა, გაუჩინარდა. გაუჩინარებული ქოცების კონსულტანტია. „ოცნებას“ მისი ხელწერა აშკარად ეტყობა.

საქართველოდან რუსეთში მილიონამდე ადამიანია წასული. რუსეთში საარჩევნო უბნებს არ ვხსნით. ამ ადამიანების დიდი ნაწილი საქართველოში არჩევნებისთვის არ ჩამოვა. აი, ამათ სახელზე აქვთ პირადობები დამზადებული და აყალბებენ არჩევნებს. ნაცები და ქოცები გაყალბებით ინარჩუნებენ პოზიციებს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნაცები დიდხანს დარჩებიან მთავარ ოპოზიციურ ძალად. ეს ბიძინა ივანიშვილსაც აწყობს.

***– ამის გამო ალიანსი არ აუმხედრდება ივანიშვილს?***

– გამორიცხულია. ივანიშვილის წინააღმდეგ როგორ წავლენ. ისინი ივანიშვილზე არიან დამოკიდებული და იძულებული იქნებიან, შეეგუონ რეალობას. რეალობა კი ასეთია – მთავარი ოპოზიციური ძალა ნაცმოძრაობა იქნება.

# „ივანიშვილი ფეხქვეშ თელავს თელაველების ნებას“

შორენა მარსაგიშვილი

მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა, რომ სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობაზე თელავში დააფიცებენ. ამას თელაველები დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ. მოგეხსენებათ, რომ ეს ქალაქი „ოცნების“ ნებიერამ ორივე ტურში წააგო.



ინაუგურაციის თელავში გამართვის გადაწყვეტილებამ ნაციონალური მოძრაობის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი ბოტკოველიც აღაშფოთა.

მისი თქმით, ივანიშვილმა სპეციალურად შეარჩია თელავი და ცდილობს, თელაველებს ნერვები მოუშალოს.

– ივანიშვილმა მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება, რომ თელავში ინაუგურაციის გამართვით კიდევ ერთხელ ფეხქვეშ გათელოს თელაველების ნება, რომელიც მათ საპრეზიდენტო არჩევნების ორივე ტურზე გამოხატეს, – აღნიშნა გიორგი ბოტკოველმა.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, ზურაბიშვილმა ივანიშვილთან ერთად, ორივე ტურში წააგო არჩევნები არა მარტო ქალაქ თელავში, არამედ მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

– არჩევნების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თელაველები მართლა არიან სიმბოლო იმ გამბედაობის, რომელიც გამოიჩინეს არჩევნების დღეს. თუმცა, ყველამ ვიცით, რომ ეს არჩევნები არ იყო. ეს იყო სპეცოპერაცია ქართველი ხალხის წინააღმდეგ, – აღნიშნავს ბოტკოველი.

ყველას კარგად ახსოვს, რომ ბიძინა ივანიშვილმა სალომე ზურაბიშვილი რამდენჯერმე შეადარა თამარ მეფეს. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა „ოცნების“ ნებიერამ მეფის სასახლეში ინაუგურაცია.

ამ ვერსიას ამყარებს მხატვარ თამარ ფოცხიშვილის კომენტარიც. ის ზურაბიშვილის ინაუგურაციის ცერემონიალშია ჩართული. მისი თქმით, საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაციისას შესაძლოა, პარალელები თამარ მეფესთანაც ვიხილოთ.

– ზურაბიშვილი არის პირველი ქალი პრეზიდენტი, მაგრამ არ არის პირველი ქალი მეთაური საქართველოსთვის. მთავარი არის ის, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. არსებობს ჯგუფი, რომელიც დღეიდან იწყებს მუშაობას. ინაუგურაციის სტილი უნდა იყოს ღირსეული; უნდა იყოს იმ ფანტასტიკურ, სრულიად მაღალი სულიერების და საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვან ადგილას, იქ, სადაც ერეკლე მეფის სასახლეა.

აქ არის არაჩვეულებრივი პატარა ეკლესია და ვფიქრობ, ის სისადავე, რომელიც იმ ადგილს აქვს, არის ქართული სულისთვის დამახასიათებელი, – ამბობს ინტერპრესნიუსთან მხატვარი.

მისი თქმით, ღონისძიება იქნება მასშტაბური, მაგრამ არა პომპეზური.

– ღონისძიების ფერს გვკარნახობს საქართველოს დროშა, მაგრამ აქ უკვე გაჩნდება ევროკავშირის დროშებიც. ინაუგურაციის ნაწილია საქართველოს ეროვნული დროშა და გერბი. შესაძლოა, პარალელები თამარ მეფესთანაც ვიხილოთ. ეს პარალელები გულში ყველა ქართველს აქვს. ქალი პრეზიდენტი მაღალ იდეალებს გვახსენებს, – განაცხადა თამარ ფოცხიშვილმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ეკა ბესელია: „ნაცმოძრაობის“ ულტიმატუმებზე დიალოგი არასწორად მიმაჩნია“

## „ოპოზიციამ არ იცის კონსტიტუციაში რა წერია“

იაგო ნაცვლიშვილი



ოპოზიციური პარტიების შეფასებით, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია და ხელისუფლებას სთავაზობენ, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდეს, ასევე გატარდეს ცვლილებები საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართულებით. ოპოზიცია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობაზეც საუბრობს.

„მივიჩნევთ, რომ არსებული პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით საჭიროა: პირველი – საარჩევნო სისტემის ცვლილება და შემდგომი საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით ჩატარება, მეორე – საარჩევნო ადმინისტრაციის წესის ძირეული ცვლილება და საარჩევნო გარემოს გარდაქმნა, ზემოაღნიშნული ცვლილებების შემდეგ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება“ – ნათქვამია ოპოზიციური პარტიების განცხადებაში.

რა პასუხი აქვს ოპოზიციის კრიტიკაზე და რას ფიქრობს პოლიტიკური კრიზისის ნიშნებთან დაკავშირებით? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას ესაუბრა:

***– როგორ შეაფასებთ დღევანდელ ვითარებას, როდესაც ოპოზიცია ითხოვს პროპორციულ სისტემაზე გადასვლას, საარჩევნო ადმინისტრაციაში განხორციელდეს ცვლილებები და ა. შ. რა პასუხი გაქვთ ხელისუფლებას?***

– ეს ყველაფერი წერია კონსტიტუციაში. უნდა წაიკითხონ რა წერია კონსტიტუციურ ცვლილებასთან დაკავშირებით. როგორ ხდება მისი დამტკიცება. კონსტიტუციური კანონის მხარდაჭერას სჭირდება შესაბამისი პროცედურა, შესაბამისი ქვორუმი და ასევე მითითებულია, რომ რაოდენობა, კანონის ცვლილებისთვის თუ არ გროვდება საკმარისი, მაშინ მას მეორე მოწვევის პარლამენტი ამტკიცებს. კონსტიტუციური ცვლილებები მიღებულია და ახლა ვერ მოხდება საკითხების დაყენება.

***– ასე ფიქრობთ, რომ ოპოზიციამ კონსტიტუციაში რა წერია, არ იცის?***

– არ კითხულობენ, როგორც ჩანს. ვინც აყენებს, უნდა წაიკითხოს. 16 დეკემბრამდე ვერ მოესწრება და ეს ცვლილება რომ ვერ მოხდება კონსტიტუციაში, ამაზე ხომ ვთანხმდებით?!

***– რევოლუცია დააანონსეს თუ ხელისუფლება დათმობებზე არ წავა. ამ შემთხვევაში „ნაცმოძრაობას“ არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ იმ განცხადებას, რაც თქვენმა ყოფილმა თანაპარტიელმა და თანაკოალიციელმა ირაკლი ოქრუაშვილმა და გუბაზ სანიკიძემ დააანონსეს.***

– რა გაინტერესებთ, ჩემი პასუხი? კომენტარის გარეშე. ხალხს რევოლუცია არ სჭირდება. ეს აჩვენა ამ არჩევნებმა. არა მგონია, მეტი კომენტარი იყოს ამაზე საჭირო.

***– თქვენი აზრით, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის ნიშნები არ არის?***

– რა თქმა უნდა, არა! კრიზისის არანაირი ნიშნები არ არის. როდესაც ქვეყანაში ტარდება ასეთი მაღალი აქტივობის არჩევნები და 1. 2 მილიონი ადამიანი მხარს უჭერს მმართველ ძალას და არ არსებობს ლეგიტიმაციის პრობლემა, არანაირი პოლიტიკური კრიზისი არ არის. ის, რომ განსხვავებული პოზიციები აქვს ხელისუფლებას და „ნაციონალურ მოძრაობას“, ამით არ იზომება პოლიტიკური კრიზისი.

***– თუმცა, ისიც ფაქტია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო დაახლოებით 700.000 ხმა.***

– ეს არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ ხმა. ხომ ყველა ერთად იყო და ყველა ერთად მონაწილეობდა?! ასე ნუ ვითვლით. ხმები ასე არ იკრიბება. „ნაციონალურ მოძრაობას“ რა რაოდენობის მხარდაჭერაც აქვს, მიიღო პირველ ტურში.

***– „ქართული ოცნების“ მიმართ მხარდაჭერაც პირველ ტურში გამოხატა ამომრჩეველმა მაგ ლოგიკით.***

– მეორე ტურშიც „ქართული ოცნება“ იყო. მეორე ტურში მარტო „ნაციონალური მოძრაობა“ არ იყო. იქ იყო კიდევ რამდენიმე სხვადასხვა პარტია. ასე რომ, ეს ორი სხვადასხვა რამეა.

***– არ ფიქრობთ, რომ მეორე ტურში „ოცნების“ მიღებული ხმები რეალურად იყო სააკაშვილის წინააღმდეგ მიღებული ხმები და არა „ქართული ოცნების“ მიღებული ხმები?***

– მაგას ვამბობ, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ მიღებული ხმები იყო ის, რომ ხალხს არ სჭირდება რევოლუცია და არ უნდა „ნაციონალური მოძრაობა“. მაგას გეუბნებით ზუსტად და რატომ არის პოლიტიკური კრიზისის ნიშნები?! არც რევოლუცია უნდა ხალხს, არც სააკაშვილი და არც მისი მმართველობა.

***– დიალოგს რაც შეეხება, ამისთვის თუ ხართ მზად?***

– დიალოგის დღის წესრიგი უნდა იყოს ისეთი, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ დიალოგი გაიხსნას. დიალოგი „ნაციონალურ მოძრაობასთან“, რომელსაც ის აყენებს ულტიმატუმის ენით, ეს არ მიმაჩნია გამართლებულად. მაგრამ დიალოგი ხალხთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, დიალოგი სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან, რომელთაც ამ ქვეყანაში აინტერესებთ უკეთესი კანონმდებლობა, უკეთესი პროცესი, საარჩევნო საკითხებთან თანამშრომლობა... რა თქმა უნდა, ეს დიალოგი ხელისუფლებამ ყოველთვის უნდა აწარმოოს და ამისთვის მუდმივად უნდა იყოს მზად. ამიტომ ვამბობ, რომ დიალოგი უნდა ყველასთან, რაც გააუმჯობესებს და უკეთესს გახდის ვითარებას, მაგრამ დიალოგი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მათი ულტიმატუმების დაყენების საკითხებზე, მე ეს სწორად არ მიმაჩნია.

# სოსო ცინცაძე: „რევოლუციის საფრთხეს ვერ ვხედავ, ოპოზიციას ქარიზმატული ლიდერი არ ჰყავს“

## „სააკაშვილი რევოლუციისთვის არის დაბადებული“

იაგო ნაცვლიშვილი

ოპოზიცია ითხოვს, რომ მომდევნო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდეს. გაერთიანებულმა ოპოზიციამ „ძალა ერთობაშია“ 2 დეკემბერს ხელისუფლებას დრო 16 დეკემბრამდე მისცა. მოგვიანებით, გადაცემა „რეაქციაში“ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელმა გუბაზ სანიკიძემ ხელისუფლებას მიმართეს, ან დათმობებზე წავიდეს და დაიწყოს მუშაობა პროპორციულ არჩევნებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ან რევოლუციას მიიღებენ. ხელისუფლება კი პოლიტიკური კრიზისის ნიშნებს ვერ ხედავს.

არის თუ არა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის ნიშნები? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა:

***– დღეს რა ვითარებაც არის ქვეყანაში, თქვენი შეფასებით, არის თუ არა დღეს პოლიტიკური კრიზისის ნიშნები?***

– პოლიტიკური კრიზისი, მისი კლასიკური შეფასებით, პოლიტოლოგიური, მეცნიერული შეფასებით არ არის. კრიზისი არის მაშინ, როდესაც დემოკრატიულ ქვეყნებში ქვორუმი ვერ გროვდება, მთავრობა ვერ ღებულობს ნდობის მანდატს, მაშინ არის კრიზისი, ან უნდა შეიქმნას ახალი კოალიციური მთავრობა, ან დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. იტალია ამის კლასიკური მაგალითია. 68-ჯერ ჰქონდათ ასეთი მდგომარეობა მეორე მსოფლიოს შემდეგ.

რაც ხდება საქართველოში, კლასიკური გაგებით, კრიზისს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ თუ ჩვენ ვიგულისხმებთ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, უკმაყოფილოთა რაოდენობას, სოციალურ ფონს... ეკონომიური კრიზისი ნამდვილად არის, ვინაიდან ეკონომიკა არ იზრდება. ფინანსური კრიზისია, რადგან ლარი ვერ მყარდება, სოციალური კრიზისია, ვინაიდან უმუშევრობამ ყველა ზღვარს გადაამეტა.



ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია

მაგრამ ის, რომ პოლიტიკური კრიზისი, რომელიც რეალურად ემუქრება მმართველ პარტიას, დღეს ამის საშიშროება არ არის.

***– არც მომავალშია ამის საშიშროება?***

– მმართველი პარტია ჩვენთან ცივილიზებული პოლიტიკოსებით რომ იყოს დამოკიდებული, რა თქმა უნდა, განჭვრეტდნენ მომავალ საფრთხეს, დღეს შექმნილი ხელოვნური სტაბილურობისა და ადეკვატურ პრევენციულ ზომებს მიიღებდნენ, მაგრამ ვინაიდან ასე არ არის, მოკლევადიან პერსპექტივაში ეს სტაბილურობა შენარჩუნდება, მაგრამ როდესაც მოსახლეობის დიდი მასა უკმაყოფილოა, პირველ რიგში სოციალური მდგომარეობით და მერე ჩატარებული არჩევნების ხარისხით, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას სერიოზული გამოწვევები ელის მომავალ არჩევნებზე. დელიკატურად რომ ვთქვათ, სერიოზული გამოცდები ელოდება.

***– როცა ვხედავთ, რომ ხელისუფლება არ აღიარებს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური მიმართულებით პრობლემებია და ოპოზიცია რევოლუციას აანონსებს თუ ხელისუფლება დათმობებზე არ წავა, ამ შემთხვევაში როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები?***

– რევოლუციის საფრთხეს ვერ ვხედავ საქართველოში. ელემენტარულად ოპოზიციას არ ჰყავს ქარიზმატული ლიდერი, რომელიც ხალხს ბარიკადებზე აიყვანს. ყველა რევოლუციას, საფრანგეთის რევოლუციიდან დაწყებული და ოქტომბრის რევოლუციით დამთავრებული, რევოლუციას ჰყავდა ლიდერები, რომელსაც შეეძლოთ გარკვეული მასა ბარიკადებზე აეყვანათ.

მეც ვუსმინე გუბაზ სანიკიძისა და ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებს. არც ერთია „ნაციონალური მოძრაობის“ გულშემატკივარი და არც მეორე. ორივე აპელირებს ხალხის უკმაყოფილებაზე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ასეთი უკმაყოფილება შეიძლება ათეული წელი გაგრძელდეს. ზოგან ხალხი ეგუება ამას და ცხოვრობს, ზოგან – არა. მე, მაგალითად, რადიკალურ ცვლილებებს არ ველოდები, სანამ თაობები არ შეიცვლება. სხვა თაობაა საჭირო, ჩვენი თაობა არ არის მზად.

მიშამაც ვარდების რევოლუცია დაარქვა თუ ეკლების, მაგრამ რითი დამთავრდა?! იმიტომ, რომ ხალხი, ვინც მოვიდა, რევოლუციონერები შინაგანად არ იყვნენ, ცივილიზებული პოლიტიკოსები. შინაგანად არ იყვნენ მზად რაღაც კომპრომისისთვის. მაგალითად, მაკრონი ისეთ დათმობებზე წავიდა, რომელზეც „ქართული ოცნება“ არ წავა, თუნდაც ეშაფოტზე ავა სანაცვლოდ. რასაც თხოულობდნენ პროტესტანტები, ორ იმდენ დათმობაზე წავიდა. იმიტომ, რომ მიხვდა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. ეს არის განსხვავება ცივილიზებულ პოლიტიკოსებსა და ქართველ პოლიტიკოსებს შორის.

***– რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ხელისუფლებას ჩვენც, ხალხმა, რაღაც დავათმობინოთ?***

– სიმართლე გითხრათ, პესიმისტურად ვარ განწყობილი. ვიმეორებ, ამისთვის თაობაა შესაცვლელი. შეიძლება წავიდეს ერთი პოლიტიკური გუნდი და მეორე მოვიდეს, მაგრამ გარანტია, რომ ახალი ძველზე უფრო ცივილიზებული იქნება, არ არსებობს.

***– შალვა ნათელაშვილსაც აქვს პრეტენზია, რომ ისიც ქარიზმატული ლიდერია. თქვენ მასში ამ თვისებას ვერ ხედავთ?***

– შალვას აქვს მონაცემები, მაგრამ მას არ გააჩნია კრიტიკული მასის ელექტორატი. კრიტიკულ მასამდე, დუღილის წერტილამდე ელექტორატი მას არ გააჩნია. ის ვერ შეძლებს, 50.000 კაცი გამოიყვანოს ქუჩაში. სხვანაირად რევოლუცია ვერ მოხდება, თუ ხელისუფლება ვერ დაინახავს რაღაც ცვლილებებს. სხვანაირად ეს შეუძლებელია.

# „ოცნებამ“ ან საკადრო რევოლუცია უნდა მოახდინოს, ან ხელისუფლებიდან წავიდეს“

## თორნიკე შარაშენიძე: „ქართველი ხალხი ესკალაციისთვის მზად არ არის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას ითხოვს. მმართველი გუნდი კი ამბობს, რომ ოპოზიციის მხრიდან უსინდისობაა პროპორციულ სისტემაზე საუბარი, როცა თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში, არც მაშინ მიიღეს და არც ჩვენთან ჩაერთვნენ განხილვების პროცესშიო.***

– ხელისუფლების მხრიდან დღეს ამის მტკიცება იგივეა, რომ ორჯერ ორი ხუთია. ეს ყველაფერი მარტივი არითმეტიკით მოწმდება. კონსტიტუციური უფლება აქვს „ოცნებას“ პარლამენტში და ნებისმიერი გადაწყვეტილების გატანა შეეძლო საპარლამენტო ოპოზიციის გარეშე. მათ შეინარჩუნეს მაჟორიტარული სისტემა იმიტომ, რომ მაჟორიტარები არიან ყველა ხელისუფლებისთვის არჩევნების მოგების ძალიან კარგი ფორა და ეს ჩვენ ხომ ვიცით!

რაც მეტი დრო გავა, უფრო მძიმედ მოუბრუნდებათ ეს თავიანთი გადაწყვეტილება, რომ წინასაარჩევნო დაპირება არ შეასრულეს.

***– რას იტყვით ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, არის დღეს სიტუაცია მზად საამისოდ?***

– ეს ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც ნაცმოძრაობის ტაქტიკა. მათი ტაქტიკა არის, რომ შეინარჩუნონ ეს მუხტი, საკუთარი ამომრჩეველიც ჰყავდეთ მობილიზებული და ხელისუფლებაც არ მოადუნონ. სწორედ აქედან არის ნაკარნახევი მათი ეს მოთხოვნა, თორემ შეიძლება ისევ „ოცნებამ“ მოიგოს. მომავალი 2 წელი კი დრო მუშაობს „ოცნების“ წინააღმდეგ. შესაბამისად ორი წლის შემდეგ „ოცნებას“ კიდევ უფრო გაუჭირდება.

***– ანუ ხელისუფლებისთვის მომგებიანი იქნება ვადამდელი არჩევნები?***

– კი, „ოცნებისთვის“ მომგებიანია, მაგრამ „ოცნებას“ ნაცმოძრაობამ რომ უთხრას, ორჯერ ორი ოთხიაო, ისინი იტყვიან, ხუთიაო. ამიტომაც, რახან ნაცმოძრაობა სთხოვს ამას, მათ ჯიბრზე არ გააკეთებენ, სხვა თუ არაფერი. ასეთ კომიკურ სიტუაციაში ვართ.

***– რამდენად ელოდებით პროცესების ესკალაციას?***

– არა, არ ველოდები ესკალაციას. ყველა კარგად ხედავს, რომ ქართველი ხალხი არ არის განწყობილი არანაირი ესკალაციისა და გადატრიალებისთვის. ვინც ამაზე წავიდა, ის კარგავს მხარდაჭერას და ეს გამოჩნდა ძალიან კარგად.

***– ოპოზიცია ხელისუფლებას დიალოგისკენ მოუწოდებს, 16 დეკემბრამდე მისცეს ვადა და მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას სთხოვს. ხელისუფლება კი ცინიკურად პასუხობს მას.***

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. ამ ხელისუფლების ლეგიტიმაცია დღემდე დგას ერთ რამეზე – ნაცმოძრაობასთან კონფრონტაცია და მათ მიმართ გამოვლენილი სიძულვილი. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებას მეტი სათქმელი არაფერი აქვს თავის ამომრჩევლისთვის.

***– პრეზიდენტის ინსტიტუტს მაქსიმალურად ავიწროვებს ხელისუფლება. შეუმცირა ბიუჯეტი, აღარც სარეზერვო ფონდი ექნება ზურაბიშვილს. რა ხდება?***

– ეს ძალიან მარტივი ასახსნელია. სალომემ კარგად გამოავლინა თავისი ხასიათი. ყველას დაანახა, თუ რა მძიმე ხასიათი აქვს და, შესაბამისად, უკვე ხდება პრევენცია ყველანაირი ხერხებით.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ვახტანგ მაისაია: „სემენჩენკო საქართველოში არ დაიჭირეს, რადგან მას იმუნიტეტი იცავს“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თბილისში უკრაინელი მებრძოლების დაკავებას ეხმაურება.

– დაკავებული შვიდი პირი უკრაინის რადას დეპუტატ სემიონ სემენჩენკოს გასამხედროებული დაჯგუფების წევრია. ისინი სემენჩენკოს ერთ-ერთი დაცვითი ფირმის მებრძოლები არიან.

სემენჩენკოს ნამდვილი სახელი და გვარია კონსტანტინე გრიშინი. ის იყო მოხალისე ბატალიონ „დონბასის“ პირველი მეთაური. სემენჩენკო ყალთაბანდი და ავანტიურისტი პიროვნებაა, შემჩნეული იყო ბატალიონის თანხების მითვისებაში, გაგდებულია არმიიდან, ახლა უმაღლესი რადას წევრი და მიხეილ სააკაშვილის მომხრეა. არ არის გამორიცხული, მისი კავშირები დონბასის იქითა მხარეს მებრძოლ რუს სეპარატისტებთან, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ ექსპერტმა სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაიამ.

მანამდე ვახტანგ მაისაიამ და ირაკლი კაკაბაძემ გააკეთეს განცხადება, რომ ის სქემა, რომელიც ჩვენმა უკრაინელმა მეგობრებმა გახსნეს მათი დასავლელი კოლეგების დახმარებით, ჯერ არ არის ხელისუფლების მიერ გახმაურებული.

– სააკაშვილის და მისი ბანდის პატრონები მოსკოვში არიან გენერალი ჩემეზოვი და თვით პუტინი. ისინი ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან მეგობრობენ ძველი კგბ-ს კავშირებით. კონკრეტულად, საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში ოპერაციებს ხელმძღვანელობს ფსბ-ს გენერალი სერგეი ბესედა. ქეში საქართველოში არეულობის მოსაწყობად გამოიყოფა ცხინვალში მდებარე ტრანსნაციონალური (რუსული) კორპორაცია „ვნეშტორგსერვისის“ მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს პაშკოვი. ქეში კვეთს სამაჩაბლოს საზღვარს არალეგალურად და ძალიან რთულია მისი იდენტიფიცირება. სააკაშვილი კი მეზობელ ქვეყანაში ელოდება პირველ გასროლას, რომ შემოვიდეს ქვეყანაში, – ნათქვამია მათ განცხადებაში.

***– ბატონო ვახტანგ, რა ინფორმაციას ფლობთ დაპატიმრებული ბატალიონ „დონბასის“ წევრების შესახებ?***

– დაკავებულები არიან ყოფილი ბატალიონის წევრები. ისინი პირველი მოხალისეები არიან, 2014 წელს პირველად ჩაებნენ საბრძოლო ოპერაციებში. შემდგომში პეტრე პოროშენკომ გამოაცხადა საომარი ოპერაციების მიზნის შეცვლა და გადაიყვანა სამხედრო ოპერაციების დონეზე, მან მოსთხოვა ყველა გასამხედროებულ ფორმირებას, გაწევრიანებულიყვნენ უკრაინის



შეიარაღებული ძალების რიგებში. ნაწილმა ეს გააკეთა, ნაწილმა არ გააკეთა. ისინი არ დაემორჩილნენ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას და უარი განაცხადეს, მონაწილეობა მიეღოთ სამხედრო ოპერაციებში.

საქართველოში დაკავებული მებრძოლები არიან სემიონ სემენჩენკოს დაჯგუფების წევრები. ის არის უკრაინის რადის დეპუტატი, არის ასევე თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელი. ის ახორციელებს მის ძალოვან და შეიარაღებულ მხარდაჭერას. დაახლოებით, ის არის უკრაინელი მხედრიონელი. ფაქტობრივად, მას შემდეგ, რაც მათ უარი თქვეს დონბასში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობაზე, გახდნენ გასამხედროებული დაცვითი კომპანიების წარმომადგენლები.

ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ შარშან უკრაინაში მაიდანის ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში, რომლის მიზანი იყო პეტრე პოროშენკოს ხელისუფლების დამხობა. პარლამენტის წინ მათ გაშალეს კარვები. თვეების განმავლობაში ბლოკირებული იყო კიევის ცენტრი. შესაბამისად, ბოლო აკორდი უნდა ყოფილიყო რადაში შეჭრა და პეტრე პოროშენკოს ხელისუფლების დამხობა.

***– ანუ მიხეილ სააკაშვილთან კავშირში უნდოდათ გარკვეული სცენარის განხორციელება?***

– დიახ, ასევე ამის მოთავე იყო მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკური გაერთიანება „ახალი რუხი“. შესაბამისად, ის აქტიურად მონაწილეობდა ამ სქემების განხორციელებაში. სემენჩენკო და სააკაშვილი ერთობლივი ძალისხმევით ცდილობდნენ, დაემხოთ პეტრე პოროშენკოს კანონიერი ხელისუფლება. მათ შორის, ძალისმიერი მეთოდებით.

დონბასელი სეპარატისტებისაგან შემოსული თანხებით – 500.000 დოლარით აპირებდნენ ამ ქმედებების განხორციელებას. ამის შესახებ უკრაინის მთავარმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. მიხეილ სააკაშვილს წაყენებული აქვს ბრალდება უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნასა და მათ მხარდაჭერას ედავებიან.

იმ ადამიანებსაც ჰქონდათ დადებული მსჯავრი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნაში, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ. უბრალოდ, რამდენიმე მათგანი, ჩხეტია და სხვები გათავისუფლდნენ უკრაინელი დეპუტატების სემენჩენკოსა და მისი მომხრეების თავდებით.

***– ამ დაკავებულებს ახლდა სემენჩენკო.***

– სემენჩენკო მისი ნამდვილი გვარი არ არის. მისი ნამდვილი გვარია კონსტანტინე გრიშინი.

***– უკრაინელია თუ რუსი?***

– არ ვიცი, ნამდვილი გვარია გრიშინი.

***– ეს პიროვნება არ უარყოფს, რომ პოლონეთში შეხვედრია მიხეილ სააკაშვილს თვენახევრის თუ ორი თვის წინ.***

– ამაზე არსებობს მასალები, უკრაინელმა გამომძიებელმა ჟურნალისტებმა კონკრეტული მასალა დადეს. პოლონეთში მოხდა მათი შეხვედრა, მიხეილ სააკაშვილმა სთხოვა სემენჩენკოს, მონაწილეობა მიეღო საქართველოში არეულობებისა და ანტიკონსტიტუციური გადატრიალების მოწყობის საქმეში.

***– სემენჩენკოსა და მისი მებრძოლების საქართველოში ჩამოსვლა პირდაპირ უკავშირდება საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგებს და ნაცმოძრაობის განზრახვას, ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოახდინონ?***

– ამაზე ფაქტები ღაღადებენ. ჩვენ გავაფრთხილეთ ხელისუფლება, რომ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები იგეგმებოდა, ვთქვით, რომ სააკაშვილი გააკეთებდა მოწოდებას ანტისახელმწიფოებრივი გადატრიალებისკენ. ასევე ვთქვით, რომ ბოევიკები შემოსული არიან საქართველოში.

***– თქვენ გქონდათ ინფორმაცია.***

– დიახ, ჩვენ უკრაინელი მეგობრებისგან ინფორმაცია გვქონდა. ის, რაც ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში, უახლოვდებოდა მაიდანის სცენარებს. ამიტომ ჩვენი უკრაინელი მეგობრების მიერ მოწოდებული ინფორმაციებით, მასალებითა და ანალიტიკის მეშვეობით გავაკეთეთ დასკვნა, რომ არ იყო გამორიცხული საქართველოში სამხედრო გადატრიალების მოწყობის მცდელობა, რაც ერთი ერთზე დადასტურდა.

გაიხსენეთ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა, ბოევიკების დაკავება და ნაცმოძრაობის განცხადება არჩევნების არალეგიტიმურობის შესახებ, რომ ისინი არ ცნობდნენ სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას, რაც გადატრიალების მთავარი შემადგენელი ნაწილი შეიძლება ყოფილიყო.

***– უკრაინელმა მებრძოლებმა იარაღით მოახერხეს საქართველოში შემოღწევა თუ იარაღი აქ შეიძინეს?***

– არ მინდა, მთავარი პროკურორისა და სუსის ფუნქციები შევასრულო. როგორ შემოაღწიეს, როგორ მიიღეს იარაღი, ამის გარკვევა მთავარი პროკურატურისა და სუსის პრეროგატივაა. იმედია, ამას გამოძიება დაადგენს.

***– როგორ მიდის გამოძიება?***

– როგორ მიდის გამოძიება, ეს მეორე საკითხია. გამოძიებაზე კომპეტენტური საუბარი ძალიან რთულია. ამიტომ საქმე იქამდე მივიდა, რომ სხვებს უწევთ მთავარი პროკურატურისა და სუსის როლის შესრულება.

სემენჩენკოც საქართველოში იყო ჩამოსული, როგორც ერთ-ერთი კოორდინატორი სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად, მაგრამ ის უბრალოდ, არ დაიჭირეს, რადგან მას იცავდა იმუნიტეტი, როგორც უმაღლესი რადას დეპუტატს.

***– სემენჩენკოსა და მისი მებრძოლების საქართველოში ყოფნა ასე შეიძლება შეფასდეს?***

– გონივრული ეჭვის საფუძველზე, ამის თქმის უფლება მაქვს. სემენჩენკო არის ცნობილი ავანტიურისტი. ეჭვმიტანილია თავისი შეიარაღებული ფორმირების ფულების გაფლანგვაში. ის თავის დროზე მზად იყო, პეტრე პოროშენკოს ხელისუფლება დაემხო. შარშანდელი მაიდნის მოვლენებიდან გამომდინარე ვსაუბრობ. ის არის მარგინალი პიროვნება. მარგინალი პიროვნებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

***– საზღვარზე იარაღის შემოტანა შესაძლებელია?***

– მაშინ, როცა ჩატაევი შემოვიდა საქართველოში და მთელი არსენალი შემოიტანა, გიკვირთ, რომ უკრაინელ მებრძოლებს იარაღით შემოსვლა მოეხერხებინათ? შეიძლება უკრაინელმა მებრძოლებმა იარაღი კანონიერი გზით შემოიტანეს, რადგან ისინი არიან უკრაინის დაცვითი ფირმების წარმომადგენლები.

***– გამორიცხავთ, რომ უკრაინელ მებრძოლებს იარაღი აქ შეეძინათ?***

– გამორიცხული არაფერია. ჩატაევმა მთელი არსენალი შემოიტანა და 12 საათის განმავლობაში იგერიებდა ანტიტერორისტული სამსახურის მებრძოლების შეტევას. ამიტომ ამ ქვეყანაში გამორიცხული არაფერია.

***– დადასტურებულია, რომ ჩატაევმა იარაღი გარედან შემოიტანა და აქ არ შეუძენია?***

– არ ვიცი. ფაქტი ფაქტია. ის შემოვიდა მწვანე საზღვრიდან და გადაადგილდებოდა ისლამური სახალიფოს კონტროლირებადი ტერიტორიებიდან. იარაღის გადმოტანის საშუალება მას ჰქონდა. ისლამური სახალიფოს მებრძოლებს პერსონალური იარაღი ჰქონდათ.

***– მხოლოდ ეს ერთი ჯგუფია შემოსული?***

– ჩემი უკრაინული წყაროებით ვიცი, რომ რამდენიმე ჯგუფია შემოსული.

***– ანუ კიდევ უნდა ველოდოთ რაღაც სიურპრიზებს?***

– კარგია, რომ ჩვენი უსაფრთხოების სამსახურები მუშაობენ პრევენციაზე. მე და ირაკლი კაკაბაძე ხელისუფლებას ვაფრთხილებდით და, სამწუხაროდ, მართლები აღმოვჩნდით.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# „ოცნებამ“ ან საკადრო რევოლუცია უნდა მოახდინოს, ან ხელისუფლებიდან წავიდეს“

მიდის სალომეს პრობლემის მოგვარება, მისი დასუსტება. აბა სხვა რა უნდა გაუკეთო, რომ დაასუსტო? უნდა მოაშორო რესურსი.

***– ეშინიათ, რომ პრობლემებს შეუქმნის?***

– სალომე რეალურად ძალიან მძიმე ხასიათის ადამიანია. ეს ბიძინასაც მშვენივრად მოეხსენებოდა თავის დროზე და ამიტომაც იყო მისი გადაწყვეტილება, როცა სალომე დაასახელა, ამან გამოიწვია დიდი გაუგებრობა მის გუნდში. იცოდა მისი რთული ხასიათი და მაინც დაასახელა. შესაბამისად, რაც მეტი დრო გავიდა, უფრო უკეთ გაიცნეს.

***– ამიტომ ცდილობენ, დატოვონ უუფლებო?***

– რასაკვირველია. თანაც წინ ორი ურთულესი წელი ელოდებათ და სალომემ თუ გამოავლინა ხასიათი, როგორც ამას მარგველაშვილზე ამბობდა ივანიშვილი, რომ რთული ხასიათი გამოავლინაო, სალომემაც თუ ხასიათი



გამოავლინა, ეს არ იქნება მათთვის კარგი.

***– რა შეიძლება გააკეთოს სალომემ ისეთი, რით შეიძლება შეუქმნას პრობლემები?***

– თუნდაც ოპოზიციის მობილიზაცია მის გარშემო, თავის ფიგურის გარშემო, სხვა თუ არაფერი.

***– ოპოზიციაში ჩაუდგება „ოცნებას“?***

– ის პრეზიდენტია, ლეგიტიმაცია ხომ მაღალი აქვს მაინც. არჩევნები როგორ ჩატარდა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მაინც ჩატარდა და მას აკურთხებენ პრეზიდენტად. „ოცნების“ მიერ არჩეული და აღიარებული პრეზიდენტი თუ პრობლემებს შეუქმნის, წარმოიდგინეთ, ეს მათთვის რამხელა დარტყმაა, თანაც იმ ფონზე, რომ წინ ურთულესი ორი წელი ელოდებათ.

***– სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, ივანიშვილმა მითხრა, მმართველ პარტიასთან არ ხარ ვალში, შეგიძლია, სრულიად დამოუკიდებელი იყოო.***

– აბა სხვას რას იტყოდა? ეს ჩვეულებრივი კორექტულობაა.

***– ივანიშვილმა პირობა დადო, რომ ერთ წელში შეცვლის სიტუაციას. ექსპერტები აცხადებენ რომ მან რევოლუცია უნდა მოახდინოს კადრების ცვლილებით. რა გამოუვა?***

– სამწუხაროდ, მე ამის ძალიან მცირე და თეორიულ შანსს ვხედავ, რომ ამის გაკეთება შეძლოს. ის ძალიან დიდი ხნით მოწყდა ქვეყნის მართვას, მოწყდა რეალობას და ამ სიტუაციაში გაუჭირდება მას კარგი კადრების პოვნა. თვითონ ხომ არ შეარჩევს ამდენ კადრს და მის გარემოცვას კი არანაირი სურვილი არ ექნება, მისივე შემცვლელის მოძებნაში დაეხმაროს.

ვინ ურჩევს კადრებს, თავისი კორუმპირებული გუნდი?! მისმა გუნდმა დაამტკიცა ერთი რაღაც – მათ აინტერესებთ მხოლოდ ივანიშვილის ფული და არასოდეს არ ეუბნებიან ივანიშვილს სიმართლეს. თორემ პირში რომ ეთქვათ მისთვის სიმართლე, მაშინ ივანიშვილი ამ პრობლემებს არ მიიღებდა.

***– 2020-ისთვის ნაცმოძრაობა ბუად აღარ გამოდგება და არც ხალხი გამოვა „ოცნების“ გადასარჩენად.***

– ნამდვილად აღარ გამოვა და არც ეს ბუა იმუშავებს. ხალხმა კარგად დაინახა, რომ გაერთიანებულმა ოპოზიციამ აღარ გაიარა სააკაშვილის ჭკუაზე, გაემიჯნა მას. ამიტომ ეს ბუას გათამაშება აღარ გამოვა არანაირად. რა უნდა გააკეთოს „ოცნებამ“? ან საკადრო რევოლუცია მოახდინოს, ან ჩემოდნები ჩაალაგოს და წყნარად წავიდეს!

# პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი უქმდება

2019 წლის ბიუჯეტით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსება 3 მილიონ 800 ათასი ლარით მცირდება, რაც არსებული ბიუჯეტის დაახლოებით 40%-ია. ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტის მიხედვით, ადმინისტრაციის დაფინანსება სულ 6 მლნ ლარი იქნება.

ამასთან ერთად, 60-მდე შემცირდება ადმინისტრაციაში დასაქმებულთა რაოდენობა. ამ დროისთვის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 140 ადამიანი მუშაობს.

პროექტში გათვალისწინებული აღარ არის საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, რომელიც ბოლო წლებში 5 მლნ ლარი იყო.

ცვლილებები ბიუჯეტის პროექტში არჩევნებიდან ორ დღეში 30 ნოემბერს აისახა, როდესაც პარლამენტში დოკუმენტის მესამედ გადამუშავებული ვარიანტი შევიდა.

შეგახსენებთ, სარეზერვო ფონდის უმთავრესი მიზანი საქართველოში დემოკრატიული ღირებულებებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა იყო. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2018 წლის პრიორიტეტები:

1. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით.
2. სამოქალაქო ორგანიზაციების ინსტიტუციური მხარდაჭერა.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარება.
4. ინოვაციური და სამეწარმეო გარემოს ფორმირების ხელშეწყობა.
5. საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის გაღრმავება.
6. ბავშვთა და ადამიანის უფლებების დაცვა.
7. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.
8. კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა.



# ბიძინა გუჯაბიძე: „ხალხისთვის აუცილებელი მუშაობა ინაუგურაციის შემდეგ დაიწყება“

## „სააკაშვილი თავისი განცხადებების გამო უცხოელმა მეგობრებმა გაკიცხეს“

მარიამ მჭედლიშვილი





არჩევნების შემდეგ ქვეყანაში შექმნილ მძიმე სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძეს.

***— ნაცმოძრაობასთან გაერთიანებული ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება ვალდებულია, დაელაპარაკოს იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის კანდიდატმა საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო დაახლოებით 800 ათასი ხმა. „ქართული ოცნება“ არავისთან დიალოგს არ აპირებს.***

— დავიწყებ იმით, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები სულ ცვლიან და ზრდიან არჩევნების დროს მიღებული ხმების რაოდენობას. მათ კანდიდატს 800.000 ხმა არ აუღია. მან მიიღო 700 ათასზე ცოტა მეტი ხმა. ეს არჩევნები ძალიან მშვიდ ვითარებაში ჩატარდა.

***— მეორე ტურში ცემა-ტყეპის შემთხვევები რომ იყო?***

— გურიაში ამდაგვარი არაფერი ყოფილა. თითო-ოროლა ექსცესი დაფიქსირდა, მაგრამ მთლიანი სურათი სხვა იყო. ლანჩხუთის რაიონში ვიყავი სალომე ზურაბიშვილის წარმომადგენელი და არჩევნებს ახლოდან ვაკვირდებოდი. ასეთი მშვიდი გარემო მხოლოდ იმ ისტორიული 28 ოქტომბრის არჩევნებზე მახსოვს, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა უზენაესი საბჭო და მოვიდა ზვიად გამსახურდია.

ისიც აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო არჩევნებს სხვა სპეციფიკა აქვს და ის განსხვავდება საპრეზიდენტო არჩევნებისაგან. ამ არჩევნებში ხალხის ძალით მიყვანაც არ დაფიქსირებულა.

***— სულ იმაზეა საუბარი, რომ ხალხი ძალით მიჰყავდათ მეორე ტურზე.***

— რაც უნდა ილაპარაკონ, ახლანდელი, 2018 წლის არჩევნები მშვიდი იყო. სააკაშვილის დროის ტრადიციული შევარდნები უბნებზე, ბიულეტენების გატაცება და კარუსელები წარსულს ჩაბარდა. „ქართულ ოცნებას“ და სალომე ზურაბიშვილის შტაბს რომ გაეყალბებინა არჩევნები, მეორე ტური საჭირო არ გახდებოდა. მეორე ტურის შემთხვევა ადრე არ გვქონია. ეს არჩევნები ამითაც იყო გამორჩეული. მოვლენების დემოკრატიულმა განვითარებამ მოიტანა მეორე ტური. საზოგადოებაში სულ უფრო მეტი კითხვა ჩნდება სხვა მიმართულებით. ბევრს აინტერესებს, როგორ მიიღო 700 ათასზე მეტი ხმა იმ გაკოტრებული ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა.

***— ამ კითხვას გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგზე შეკრებილი ხალხის რაოდენობიდან გამომდინარე სვამენ.***

— ხალხს კითხვები ისედაც უჩნდება. რას შეეხება მიტინგს, დარწმუნებული ვარ, რომ ამომრჩევლების დიდი ნაწილი, რომელმაც ხმა გრიგოლ ვაშაძეს მისცა, დესტრუქციულ ქმედებებს მოერიდა. შეიძლება ხმა მისცე ნაციონალებს და მათ კანდიდატს, მაგრამ არ გინდოდეს მონაწილეობა არეულობაში. დესტაბილიზაციის მცდელობა შეინიშნებოდა. ხალხი ამას არ აჰყვა და არც მიტინგზე მივიდა.

***— ნაციონალების ერთი მოთხოვნა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმებაა.***

— ეს სრულიად უსაფუძვლო და არარეალური მოთხოვნაა. ამას არავინ დააკმაყოფილებს.

***— კიდევ ერთი მოთხოვნაა საპარლამენტო არჩევნების პროპორციული, ანუ პარტიული წესით გამართვა. არ ჯობდა, რომ „ოცნებას“ პროპორციული სისტემა თავის დროზე, 2020 წლისთვის შემოეტანა და არა 2024 წლისთვის?***

— ამ საკითხზე ბევრი მსჯელობა იყო. პარლამენტმა კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ 2020 წლის არჩევნები ისევ მაჟორიტარულ-პროპორციული წესით ჩატარდება, პროპორციულზე კი 2024 წლიდან გადავალთ. ახლა ეს რომ შეიცვალოს, საჭიროა კონსტიტუციის ცვლილება, რასაც წინ უნდა უძღოდეს სახალხო განხილვა და გრძელვადიანი პროცედურა პარლამენტში. ამას, სულ ცოტა, წელიწადნახევარი უნდა. თან ვადამდელ არჩევნებს მოითხოვენ. ამის შესრულება წარმოუდგენელია. ეტყობა, ამ მოთხოვნებს აყენებენ დაძაბულობის ფონის შესანარჩუნებლად. ეს ფუჭი განცხადებებია.

***— არეულობის მცდელობა ახსენეთ. არის მოსალოდნელი არეულობა?***

— ვფიქრობ, რომ ამის მცდელობა ამ ეტაპზე არ გამოვიდა. მომავალში იქნება ცალკეული ექსცესები. ყველამ დაინახა საშიშროება სააკაშვილის მოწოდებებში დაუმორჩილებლობისაკენ. მისმა აქაურმა თანამოაზრეებმა, ალბათ, მას შეკამათება ვერ გაუბედეს. უცხოელმა პარტნიორებმა კი საყვედური უთხრეს. სააკაშვილი თავისი განცხადებების გამო უცხოელმა მეგობრებმა გაკიცხეს.

ვისაც აქ სააკაშვილი დავალებებს აძლევს, ზოგი პოლიტიკაშია და ზოგი — ბიზნესში. მათ თავიანთი გეგმები აქვთ და სტაბილურობა უნდათ. არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს არეულობა ან გადატრიალება არ უნდა აინტერესებდეთ. ქვეყნისაგან მოწყვეტილ მოქალაქეობის არმქონე ყოფილ პრეზიდენტს კარგად არ ესმის, რა ხდება საქართველოში. ის მოწყვეტილია ქვეყანას და მისი დირექტივები, დესტრუქციულიც რომ არ იყოს, აქაურებს არ გამოადგებათ.

***— მოსახლეობამ უნდობლობა გამოუცხადა მმართველ პარტიას და, შესაბამისად, მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს. მეორე ტურში უამრავი მოქალაქე ხმას აძლევდა სააკაშვილის დაბრუნების წინააღმდეგ. რის გაკეთებას მოახერხებს „ქართული ოცნება“?***

— ხალხისათვის აუცილებელი მუშაობა ინაუგურაციის შემდეგ დაიწყება. იქნება სტრუქტურული ცვლილებები.

***— აღმასრულებელ ხელისუფლებაში?***

— აღმასრულებელ ხელისუფლებაში. აბა, მოსახლეობის მიერ არჩეულ პარლამენტს ხელი არავინ უნდა შეახოს. აუცილებლად მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც შეამსუბუქებს და გააუმჯობესებს მოსახლეობის მდგომარეობას.

# შალვა შავგულიძე: „ჩვენი მთავარი მოთხოვნა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლაა“

ნათია ხურცილავა



თავისუფალი დემოკრატების ლიდერი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ოპოზიციის მიერ მოთხოვნილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები შეიძლება თავად ხელისუფლებისთვის აღმოჩნდეს მაშველი რგოლი.

***— ბატონო შალვა, თავისუფალ დემოკრატებს გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნებისგან განსხვავებული მოთხოვნა გაქვთ. თქვენი პოზიცია როგორია?***

— ხელისუფლებამ ცუდი არჩევნები ჩაატარა. ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი არჩევნების დემოკრატიულობის თვალსაზრისით, რასაც საერთაშორისო საზოგადოებისგან ნეგატიური შეფასებები მოჰყვა.

გაერთიანებული ოპოზიცია, სადაც ნაციონალური მოძრაობა დომინირებს, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს პროპორციული წესით, ამ მოთხოვნას რამდენიმე ოპოზიციური პარტიაც უერთდება. ჩვენ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნის ნაწილში, მათ პოზიციას არ ვიზიარებთ ორი მიზეზით:

ერთი, ჩვენ ვთვლით, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები კვლავ ორ პოლიტიკურ პოლუსს, „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის არჩევანის გაკეთების წინაშე დააყენებს ამომრჩეველს. ამ დროს საზოგადოებაში მკაფიო არის მოთხოვნა ახალ პოლიტიკურ მოთამაშეზე, რომელიც სწორედ ამ ორი პოლუსის ალტერნატივად უნდა შემოვიდეს. ამ ფონზე ვადამდელი არჩევნები შეზღუდავს ასეთი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის შესაძლებლობას.

მეორე, თუ ეს ორი მოთხოვნა (ვადამდელი არჩევნები და საარჩევნო კოდექსის ცვლილება) ერთდროულად იქნება, თუ პროცესები ამ ფონზე ჩიხში შევა, მაშინ შეიძლება თავად ხელისუფლებას დასჭირდეს ვადამდელი არჩევნების ჩატარება.

***— და ვადამდელი არჩევნები „ქართული ოცნებისთვის“ მაშველი რგოლი შეიძლება აღმოჩნდეს?***

— დიახ! ხელისუფლების რეიტინგი არის კლებადი. ის ქვეყნის პოზიტიურ მართვას ვერ ახორციელებს. არც რესურსი ჩანს, რომ მომავალში შეძლებს. ამ შემთხვევაში სულაც არ არის გამორიცხული, რომ სწორედ მას დასჭირდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ამიტომ ის ოპოზიციის მიმართ თითქოს გამოიჩენს „კეთილ“ ნებას და ამ ერთ მოთხოვნას დათანხმდება და არჩევნებს ისევ პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით ჩაატარებს.

***— ამ დროს მთავარი მოთხოვნა — პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა გვერდით დარჩება?***

— რასაკვირველია. ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენი მთავარი და ერთადერთი მოთხოვნა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე სრულად გადასვლა უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული საარჩევნო სისტემით „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ყოფნას გაიხანგრძლივებს და ახალ ლეგიტიმაციასაც მიიღებს. აქედან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ უმჯობესი იქნება, ოპოზიციური სპექტრი იმ პოზიციის ირგვლივ გავერთიანდეთ, რაშიც ყველას თანხვედრა გვაქვს, ეს არის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა.

***— ამისთვის საკონსტიტუციო ცვლილებებია საჭირო. როგორ აპირებთ პარლამენტში ამ საკანონმდებლო ცვლილების ინიცირებას?***

— კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ორი გზა არსებობს: ერთი, პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა უნდა მოახდინოს ინიცირება, რაც ამ შემთხვევაში გამორიცხულია, რადგან „ქართული ოცნება“ ამას არ იზამს. მეორე გზა არის 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება. თუ ჩვენ შევაგროვებთ არა 200 ათას, არამედ 400 ათას და კიდევ უფრო მეტ ხელმოწერას, მაშინ ხელისუფლება, კონკრეტულად კი პარლამენტი, იძულებული იქნება, ასეთი საკანონმდებლო ინიციატივა განიხილოს, რადგან ამ შემთხვევაში ოპოზიცია ქართველი ამომრჩევლის ნებით იქნება ზურგგამაგრებული.

ამ შემთხვევაში ხელისუფლებას უარის თქმა ძალიან გაუჭირდება. პარლამენტის წევრთა სამი მეოთხედის მხარდაჭერის შემთხვევაში ამ კანონპროექტის მიღება შესაძლებელია.

***— თუ უარს იტყვის „ქართული ოცნება“, მერე რა ხდება?***

— თუ „ქართული ოცნება“ გაჯიუტდება, მაშინ მას ძალიან დიდი პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს. საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელისუფლება ამომრჩევლის ძალიან დიდ ნაწილს დაკარგავს. მაშინ აშკარა იქნება, რომ ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. თუ ოპოზიცია ამ მექანიზმით ვიმოქმედებთ, მაშინ პოლიტიკური გარემო ჩიხში არ შევა. სხვა შემთხვევაში პოლიტიკური ჩიხი გარდაუვალია.

ოპოზიციის ულტიმატუმი 16 დეკემბრამდე არსებობს, მაგრამ ხელისუფლება არც დალოდებია ამ თარიღს, უარი დიალოგზე ისე განაცხადა.

***— მაშინ როგორ უნდა აიძულოთ?***

— პოლიტიკური მექანიზმით, პოლიტიკური ზეწოლით, რომელსაც ამ ქვეყნის მოქალაქეების პოზიციით ექნება ზურგი გამაგრებული. ხელმოწერების შეგროვებას და საარჩევნო სისტემის ცვლილების მოთხოვნას ვგულისხმობ.

რა უნდა მოხდეს მხოლოდ საპროტესტო აქციებით?! აქციები რევოლუციაში უნდა გადაიზარდოს?! ამ შემთხვევაში პოლიტიკური ჩიხის წინაშე ვდგებით.

ამ მექანიზმს თუ გამოვიყენებთ, მაშინ სიტუაცია ჩიხში არ შევა. პოლიტიკური პროცესი იქნება აქტიური და მაკონსოლიდირებელი როგორც ოპოზიციური სპექტრის, ისე საზოგადოების. თან შეიძლება მთელ ამ პროცესს დასჭირდეს იმდენი დრო, რომ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა არააქტუალური გახდეს. უმჯობესია, არჩევნები კონსტიტუციურ ვადაში ჩატარდეს.

***— დღეს ამ ინიციატივაში თქვენი პოლიტიკური ძალა მარტოა თუ გქონდათ კონსულტაციები ოპოზიციურ პარტიებთან?***

— ამ კონსულტაციებს დღეიდან ვიწყებთ. ჩვენი ეს ინიციატივა ახალია. ჯერ ეს შეთავაზება საჯაროდ გავაკეთეთ და ახლა კომუნიკაციას ვიწყებთ.

***— საპროტესტო აქციებს, პიკეტირებას და ა.შ. ეთანხმებით? თქვენი პარტიის პოზიცია ამ საკითხზე როგორია?***

— აქციების ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენება კანონის ფარგლებში, რა თქმა უნდა, არავის შეუძლია. რაც შეეხება რევოლუციურ სცენარს, არავითარ შემთხვევაში არ ვიზიარებთ!

***— რევოლუციური სცენარი განიხილება?***

— უშუალოდ და პირდაპირ არ განიხილება, მაგრამ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მოწოდებები სწორედ ასეთი სცენარისკენ არის მიმართული. ასეთ მოწოდებებს ხან გამოასწორებს, ხან გაამწვავებს. დაუმორჩილებლობისკენ მოწოდებები ჯარის, პოლიციის, ეს არის გზა ჩიხისკენ.

ხელისუფლება იტყვის — არა! ქუჩაში ხალხის გარკვეული რაოდენობა იქნება და რა, რევოლუცია უნდა მოხდეს?! ეს ხომ ბევრად საზიანო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე თუნდაც „ოცნების“ მიერ ჩატარებული ეს არჩევნები.

***— შექმნილი ვითარებიდან გამოსავლად საარჩევნო კოდექსში ცვლილებები გესახებათ, რომლითაც ჩატარდება 2020 წლის არჩევნები?***

— დიახ. სწორედ ამიტომ გვაქვს ეს შეთავაზება ოპოზიციისადმი. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური პროცესი ჩიხში არ შევა.

# ფონდი „ქართუ“: „სესხების განულებისთვის სიები მიმდინარე კვირის განმავლობაში დაზუსტდება“



„სესხების განულებისთვის სიები მიმდინარე კვირის განმავლობაში დაზუსტდება“ – ამის შესახებ „კომერსანტს“ ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ჩხეტიანმა განუცხადა. ამის შემდეგ ინფორმაცია მაქსიმალურად მცირე დროში აისახება საიტზე. ჩხეტიანი განმარტავს, რომ ამის შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება თავად ნახოს თავის თავზე ინფორმაცია, რომელიც კონფიდენციალური იქნება.

კითხვაზე, აქვს თუ არა ფონდ „ქართუს“ საფინანსო ინსტიტუტებისთვის დაწესებული დედლაინი, რომლის ფარგლებშიც მათ ამ ბაზების მოწოდება უნდა უზრუნველყონ, ჩხეტიანი აღნიშნავს, რომ ფონდი მიმდინარე კვირის განმავლობაში მონაწილე კომპანიებისგან სიების დაზუსტებას ელოდება.

– ფონდი „ქართუ“ ტექნიკურად მზად არის, მჭირდება კონტენტი, შინაარსი, რის საფუძველზეც მოვახდენ ვებ-გვერდის გააქტიურებას. საიტი არსებობს, დომენი ნაყიდია. სიების დაზუსტების ზუსტ დღეს ვერ გეტყვით, რადგან პროცესი ცოტა რთულია. როგორც წესი, ასეთ ვადებში არ კეთდება მსგავსი კომპლექსური სიების მომზადება. ჩვენ ვითვალისწინებთ ამ ყველაფერს, – აცხადებს ჩხეტიანი.

მისივე განმარტებით, 2018 წლის ბოლომდე სესხების განულების პროგრამა ყველა შემთხვევაში ამოქმედდება.

ჩხეტიანის განცხადებით, ვალების პატიების პროგრამაში ყველა მსხვილი საკრედიტო ორგანიზაცია მონაწილეობს, მათ შორის „ვივუსი“. ჩხეტიანმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები საფინანსო ორგანიზაციებთან ამ დრომდე გრძელდება.

შეგახსენებთ, საქართველოს 600 ათასზე მეტ მოქალაქეს ბანკების, ონლაინ ორგანიზაციების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ დავალიანება გაუნულდება. საფინანსო ინსტიტუტებისადმი მოქალაქეთა დავალიანების განულების ინიციატივა ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით განხორციელდება.

ვალების განულების პროგრამა ვრცელდება 3 სხვადასხვა ჯგუფის ვალდებულებებზე:

**პირველი ჯგუფი – ვალდებულებები: 2.000 ლარამდე. ვალდებულებაში იგულისხმება**

ფიზიკური პირის არაუზრუნველყოფილი სესხი, საკრედიტო ბარათი, ოვერდრაფტი (გარდა უძრავი ქონებით, ძვირფასეულობით და ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა);

ვალდებულება, რომელზეც 2018 წლის 1 იანვარს ფიქსირდებოდა ვადაგადაცილება და ვალდებულების ვადაგადაცილება არ არის აღმოფხვრილი 2018 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით და რომლის ძირითადი თანხა 2018 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით არ აღემატება 2.000 ლარს;

ვალდებულების განულება ეხება თითოეულ საკრედიტო პროდუქტს, რომლის ძირი არ აღემატება 2.000 ლარს.

**მე-2 ჯგუფი – ხანდაზმული ვალდებულებები. ხანდაზმულ ვალდებულებებში იგულისხება:**

ვადაგადაცილებული ვალდებულება, რომელზეც ბოლო 3 წელი არ დაფიქსირებულა თანხის გადახდა და არ მიმდინარეობს სასამართლო დავა;

ვალდებულების ძირი თანხის მოცულობისა და უზრუნველყოფის მიუხედავად;

ვალდებულება – ფიზიკური პირის ნებისმიერი სესხი, საკრედტო ბარათი, ოვერდრაფტი;

**მე-3 ჯგუფი – ვალდებულებები სოციალური სტატუსის მქონე პირთათვის ვალების განულების პროგრამა ვრცელდება:**

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ან სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირების სესხებზე.

**კომერსანტი**

# „ომეგა ჯგუფი“: სახელმწიფო მარკებს უკანონოდ არ გვაძლევს, კომპანია ისევ გაჩერებულია



ზაზა ოქუაშვილის კუთვნილი „ომეგა ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან აღდგომელაშვილმა კომპანიის სახელით საგანგებო განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, „ომეგა ჯგუფის“ მიერ მიმდინარე გადასახადის გადახდის მიუხედავად, სახელმწიფო გაურკვეველი მიზეზებიდან გამომდინარე აფერხებს მათთვის აქციზური მარკების მიცემას, რის გამოც კომპანია დღემდე გაჩერებულია.

აღდგომელაშვილის თქმით, მათთვის აქციზური მარკების შესყიდვის ტრანზაქცია ხელოვნურად ყოვნდება.

– გვსურს გავაკეთოთ განცხადება იმ კანონდარღვევებზე, რასაც ადგილი აქვს ჩვენ მიმართ უკვე 4 თვეზე მეტია. მოგეხსენებათ, ამ დროისთვის საწარმო გაჩერებულია, რისი მიზეზიც არის ის, რომ სახელმწიფო კომპანიას აქციზურ მარკებს არ აძლევს. სამთვიანი იძულებითი გაჩერების შემდეგ, კომპანია „ოჯთ“-იმ დეკლარირებული გადასახადების დაფარვის მიზნით გადაიხადა 1 მილიონი ლარი, კომპანიამ იმავე დღეს გადაიხადა აქციზური მარკების ღირებულება და მიიღო შესაბამისი რაოდენობის აქციზური მარკებიც. 2018 წლის 8 ნოემბერს, კომპანიამ სრულად დაფარა ოქტომბრის თვისთვის მიმდინარე საანგარიშო გადასახადი 550 ათასი ლარის ოდენობით, 12 ნოემბერს „ოჯთ“-იმ მოითხოვა უფილტრო სიგარეტების აქციზური მარკები, რა მოთხოვნაც შემოსავლების სამსახურმა დაადასტურა. მომდევნო დღეების განმავლობაში ინტენსიურად ვუკავშირდებოდით როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე მიხეილ დუნდუას, ასევე „სიქპა სექიურითი სოლუშენს“, რომელიც აქციზური მარკების ლიცენზიანტის გამცემია. ეს არის კომპანია, რომელიც არის შემოსავლების სამსახურის კონტრაქტორი. ვითხოვდით დროულად მოეცათ ინვოისი, რათა მოგვცემოდა საშუალება, შეკვეთილი მარკების ღირებულება დაგვეფარა, თუმცა ისინი გვპასუხობდნენ, რომ ეს საკითხი მათ მიერ დამატებით შემოწმებას საჭიროებდა. შეგახსენებთ, რომ ეს მოთხოვნა შემოსავლების სამსახურს უკვე დადასტურებული ჰქონდა ანუ 12 ნოემბერს; ამგვარად გაუგებარია, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე იყო საჭირო მისი გადამოწმება. 2018 წლის 27 ნოემბერს შემოსავლების სამსახურს მივმართეთ წერილობით. ვითხოვდით განმარტებას, რატომ არ გვეძლეოდა ინვოისი. მომდევნო დღეს მივიღეთ შეტყობინება, რომ ჩვენი შეკვეთა, რომელიც იყო დადასტურებული, გახდა გაუქმებული. კომპანიამ არ მიიღო აქციზური მარკები იმის გამო, რომ კომპანიას განზრახ არ მიაწოდეს ინვოისი.

იმისათვის, რომ არ არსებობდეს ეჭვები, მივიღოთ მყარი საფუძველი, ველოდებით, რა პასუხს გაგვცემს ფინანსთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური, ასევე სიქპა სოლუშენი, – განაცხადა ლევან აღდგომელაშვილმა.

# თბილისი როგორი დარდიანი ქალაქიც იყო, უამრავი პრობლემებით დახუნძლული, ისეთია ახლაც

კახა კალაძემ თბილისის მერის პოსტზე ერთწლიანი საქმიანობის შეჯამებისას იმ პროექტებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებაც ბოლო 12 თვის განმავლობაში მოასწრო.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ კალაძის ერთწლიან მოღვაწეობას თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატები, შეასრულა თუ არა მერმა ის დაპირებები, რომელსაც 2017 წელს საკუთარ ამომრჩეველს ჰპირდებოდა:

კალაძის საარჩევნო პროგრამის ძირითადი მიმართულებები იყო:

საცობებისა და ცენტრალური უბნების გადატვირთვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება; სატრანსპორტო სისტემის განვითარება; რაიონების, უბნების თანაბრად განვითარება; ეკოლოგიური პოლიტიკა.

„კომერსანტთან“ საუბარში თბილისის მერობის ყოფილმა კანდიდატებმა ყურადღება სწორედ ამ მიმართულებებზე გაამახვილეს.



**„ახალი საქართველოს“ ლიდერის გიორგი ვაშაძის აზრით, მერის პრეზენტაცია ლამაზი, თუმცა ზედაპირული და შინაარსს მოკლებულია:**

– სამწუხაროდ, ქალაქში მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც სიახლეს მოიტანდა, განსაკუთრებით ეკონომიკური კუთხით, არ დაწყებულა. ჩემი აზრით, ერთი და იგივე პროექტებზე, რაც არ უნდა ლამაზად ილაპარაკონ, რომ სადღაც წყალი გაიყვანეს ან ხიდი ააშენეს, ჩვეულებრივი სტანდარტი და პროცესია, რომელიც ქალაქში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. თბილისს არ აქვს გრძელვადიანი განვითარების გეგმა. საერთოდ ვერ ვხედავთ, რას გვინდა მივაღწიოთ 5 წელიწადში, როგორი ქალაქი გვინდა იყოს თბილისი და რას ვაკეთებ ამისთვის? რითი განსხვავდება თბილისი სხვა ქალაქებისგან? რა ახალი ინოვაციური პროექტები იქნება ამ ქალაქში? რატომ იქნება მიმზიდველი ინვესტორებისთვის და რატომ იქნება საინტერესო იგივე ადგილობრივი ბიზნესისთვის, ეს არის ის კითხვები, რომელიც ამ დრომდე პასუხგაუცემელია.

როდესაც დედაქალაქში გადავაადგილდები, ყოველდღიურად ვამჩნევ, რომ უფრო მეტი დრო გჭირდება დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად, ეს არის რეალობა. პრობლემების მოგვარებას ხიდები და ესტაკადები არ შველის. ჩვენ გვქონდა ამაზე დისკუსია, პრობლემას მოაგვარებს სისტემის მთლიანად რეორგანიზება. ჯერ ფეხმავალი, შემდეგ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც კომფორტული უნდა იყოს და ის ასობით მილიონი ესტაკადების მშენებლობაში რომ იხარჯება, სჯობს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში ჩაიდოს, რომელიც შეუწყობს ხელს სწრაფად და კომფორტულად გადაადგილებას და შემდეგ დაიწყოს ესტაკადების მშენებლობა, რა თქმა უნდა, თუ საჭირო გახდა. ნებისმიერი დიდი ქალაქი ცდილობს ავტომობილების რაოდენობის შემცირებას, აქედან გამომდინარე, აღარ ქმნის მოტივაციას ადამიანებისთვის, რომ ავტომობილები იყიდონ, ჩვენთან ჯერჯერობით ყველაფერი სხვანაირადაა.

სამწუხაროდ, უბნები ისევ დაყოფილია ცენტრად და გარეუბნებად, გვაქვს ე.წ. დაძინებული რაიონები, სადაც არაფერი ახალი არ ხდება. მე საარჩევნო პროგრამაში გაწერილი მქონდა რომელ უბანს რა ფუნქციური მნიშვნელობა ექნებოდა, დაწყებული მოსკოვის პროსპექტიდან, გაგრძელებული ვაზისუბნით და დამთავრებული გლდანით. თბილისი ისევ და ისევ თავკომბალების ქალაქია და ეს იწვევს არაკომფორტულ გადაადგილებას. მე ვერ ვხედავ იმ ხედვას, რომელიც თბილისს აქცევს ისეთ ქალაქად, რომელიც მსოფლიო წამყვან ქალაქებს შორის იქნება.

დღეს პირველად გავიგე, რომ რაღაც კვლევა აქვთ გაკეთებული. მაგრამ, მარტო კვლევები არაფერს ნიშნავს, უნდა ვიგრძნოთ ეს ყველაფერი. რამე განსაკუთრებულს ამ კუთხით ვერ ვხედავ ჯერჯერობით. ქალაქი ისევ ბინძურია.

**ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ზაალ უდუმაშვილი:**

– სამწუხაროდ, თბილისის ქუჩებში რომ გავივლით, უფრო მეტი ადამიანია, რომელთა სახეზეც სიცოცხლე ნამდვილად არ ჩანს, გაჭირვებას გაჭირვება ემატება, პრობლემას პრობლემა. კახი კალაძე რა პროგრამითაც მოვიდა თბილისის მერად, პრაქტიკულად იქიდან არაფერი შეუსრულებია.

საცობებისა და ცენტრალური უბნების გადატვირთვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება:

– საცობები კალაძის პროგრამაში ნომერ პირველი პრობლემა იყო. შეიცვალა რამე ერთი წლის განმავლობაში? არაფერი შეცვლილა, ქალაქი საცობებით ისევ გადაჭედილია. მე არ ვამბობ, რომ მერი ერთ წელიწადში განტვირთავდა ქალაქს საცობებისგან, მაგრამ, ნაბიჯებიც არ გადადგმულა ამ მიმართულებით, ვერ დავინახე კონკრეტული ნაბიჯი, რომელიც დედაქალაქის ამ პრობლემას მოაგვარებდა.

პარკინგი დედაქალაქისთვის ძალიან მწვავე პრობლემა იყო. საბოლოო ჯამში ჩვენ რა მივიღეთ? სითი პარკი გავუშვით, მაგრამ, ფუნქციონალურად არაფერი შეცვლილა, ახალი საპარკინგე ადგილები თბილისს არ აქვს, ჯარიმები იგივეა, პლუს ამას ემატება საათობრივი ანაზღაურება პარკინგზე, რაც მოსახლეობაზე კიდევ უფრო მძიმედ აისახება.

ეკოლოგია ყველა კანდიდატის პრიორიტეტი იყო, რას ვხედავთ ამ მიმართულებით: ხეების ჩეხვა ისევ მიმდინარეობს, კორპუსების მშენებლობა ისეთ ადგილებში, სადაც არ უნდა იყოს. მშენებლობა ისევ მიმდინარეობს, ამ მხრივაც პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. ყველაფერი იგივე დარჩა.

განვითარებაზე საუბარი ზედმეტია, რა იგულისხმებოდა და რა გაკეთდა, ეგ კიდევ სხვაა. ღამის ეკონომიკა რომ დაანონსდა, რა გაკეთდა ამ ერთი წლის განმავლობაში იმისთვის, რომ ღამის ეკონომიკა განვითარებული იყო? ერთი ავტობუსი დაინიშნა, რომელიც ღამე მოძრაობს, თუ ეს ერთი ავტობუსი განავითარებს ღამის ეკონომიკას, უნდა ეთქვათ, რომ ამ ავტობუსის იმედზე ვიყავით. ზოგადად, არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა. კალაძე რასაც აკეთებს და რაშიც ფულს ხარჯავს, ეს არის მისი პიარი, ძალიან დიდი თანხა იხარჯება რეკლამებში, როგორც მედიაში, ასევე სოციალურ სივრცეში. კალაძე პიარით ცდილობს გადაფაროს ის ნეგატივი, რაც დაგროვდა.

არამარტო თბილისი, ქვეყანა არის უკვე სიკვდილის ზღვარზე მისული. რა ეტყობა ამ ქალაქს სიცოცხლით სავსის? ხალხი უკიდურესად გაღატაკებულ მდგომარეობაშია. ლარის კურსი სად არის? ფასები ყველაფერზე იზრდება. ასე რომ, სიცოცხლით სავსე ქალაქი, ისევე, როგორც ყველა მისი დაპირება, ჩვეულებრივ სლოგანად დარჩა.

**თბილისის მერობის ყოფილი დამოუკიდებელი კანდიდატი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ კახა კალაძეს დავით ნარმანიას ფონზე რაღაცების გაკეთება შეუძლია, თუმცა, თბილისის მერიაში არ ესმით რეალური პრობლემების არსი, სწორედ ამიტომ, ქალაქში, რეალურად, არაფერი შეცვლილა.**

– ძალიან მარტივი ინდიკატორია ის, რომ ყველამ ჰკითხოს თავის თავს, საცობში შარშან უფრო დიდხანს იდგნენ თუ დღეს? საზოგადოებრივი ტრანსპორტი შარშანდელთან შედარებით დღეს უკეთესია? ჰაერი უკეთესია, ვიდრე იყო? გამწვანების რაოდენობა ოდნავ მაინც გაიზარდა? ქაოტური განაშენიანების პრობლემა მოგვარდა? ავარიული სახლების და კორპუსების პრობლემა მოგვარდა ან დაიწყო მაინც? გულწრფელად რომ ვთქვა, აშკარად უნდა, რაღაც რომ გააკეთოს, მაგრამ, არც მას და არც მის გუნდს არ აქვს იმის ცოდნა და უნარები თუ რა არის რეალურად ამ ქალაქში პრობლემა, ამიტომ ცდილობენ უფრო ზედაპირული პიარისთვის გამოსადეგი საკითხების გაკეთებას. რაღაც გარეცხეს-მორეცხეს, იქ ესტაკადა გააკეთეს, რაც საერთოდ სისულელეა.

გლდანი უფრო განვითარებულია დღეს თუ ვაკე? საბურთალო უფრო განვითარებულია თუ ავჭალა? არაფერი არ შეცვლილა, ეს დაპირებები იყო წინასაარჩევნო რახარუხი. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა იმიტომ, რომ უბრალოდ არ იციან მერიაში, რით დაიწყონ და რით გააგრძელონ, ამას ჯავრით და ბოღმით არ ვამბობ. პრობლემა ის არის, რომ სხვასაც არ უნდათ, რომ მოუსმინონ.

ქალაქი და მენეჯმენტი თითოეულ მოქალაქეზე უნდა აისახებოდეს ან კარგად ან ცუდად, ეს არის სიცოცხლით სავსე ქალაქის განმაპირობებელი. ვიღაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები რომ დასაქმდნენ და სიცოცხლე უხარიათ, არაფრის კეთებაში ხელფასს რომ იღებენ, ეგ სხვა ამბავია, რეალურად ამ ქალაქს არ ამოუსუნთქია და სიცოცხლით არ ავსებულა. როგორი დარდიანი ქალაქიც იყო მანამდე, ურბანული და ინფრასტრუქტურული პრობლემებით დახუნძლული, ისეთია ახლაც. უბრალოდ, ქალაქს ჰყავს უფრო დაქოქილი მერი, ვიდრე ნარმანია იყო, რომელიც რაღაცებს აკეთებს, მაგრამ საფუძვლიანს, სიღრმისეულს და ქალაქისთვის მნიშვნელოვანს, ნაკლებად.

**კომერსანტი**

# „ყვიროდნენ, პოლიციელები ვართო“ — რა მოხდა ბათუმში

ბათუმში. რუსთაველის №10-ში, პოლიციის განყოფილების მომიჯნავე ჰოსტელში 4 დეკემბერს, გვიან ღამით, ორი მამაკაცი შეიჭრა.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა მძარცველებმა ჰოსტელის მობინადრეებს განუცხადეს, რომ პოლიციელები იყვნენ და სასწრაფოდ გამოეჩინათ ნარკოტიკები და პირადი ნივთები.




მძარცველებმა ერთ-ერთ ბინადარს მობილური წაართვეს, თუმცა ჰოსტელის ბინადრებმა ერთ-ერთი თავად დააკავეს და პოლიციის გამოძახებაც მოასწრეს. მეორე მძარცველი კი, რომელმაც გაქცევა მოახერხა, მოგვიანებით პოლიციამ დააკავა.

– რვა სტუმარი იყო ჰოსტელში. ერთ-ერთი ჩემი სტუმარი სიგარეტს ეწეოდა ეზოში. ორი პირი მას თავს დაესხა და ასე შეაღწიეს შენობაში. ყვიროდნენ, პოლიციელები ვართ, სასწრაფოდ გამოაჩინეთ ნარკოტიკი და ნივთებიო.

ერთს მობილური წაართვეს. კორეელი სტუმრისთვის უნდოდათ აიპოდის წართმევა, თუმცა მან არ მისცა. ამ დროს ისევ ჩემმა სტუმრებმა ერთ-ერთი დააკავეს, პოლიციაც გამოიძახეს. პოლიცია ძალიან ოპერატიულად მოვიდა და მეორეც დააკავა, რომელიც გაიქცა.

ერთი დაკავებული დაღესტნელი იყო, რუსეთის მოქალაქე, მეორე კი ქართველი. არ ვიცი, იარაღი ჰქონდათ თუ არა. როგორც გავიგე, დაღესტნელს პოლიციაში დანა აღმოაჩნდა, – იხსენებს ჰოსტელის მეპატრონე ირაკლი გლაზოვი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

# ნათელა გობაძე: „ვეფხია ბაქრაძემ შვილი მცირეწლოვანი ბავშვების თვალწინ მომიკლა, ის უვადო პატიმრობას იმსახურებს“

ვეფხია ბაქრაძემ შვილი მცირეწლოვანი ბავშვების თვალწინ მომიკლა. რა თქმა უნდა, ეს არის სისასტიკე! ის იმსახურებს უვადო პატიმრობას.

აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ, 5 დეკემბერს, პროცესის დასრულების შემდეგ ბარნოვზე მოკლული 25 წლის თამარ გამრეკელაშვილის დედამ, ნათელა გობაძემ განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, მკვლელობა რომ ნამდვილად სისასტიკით არის ჩადენილი, ეს ექსპერტიზამ დაადასტურა.

– დღევანდელი პროცესი ძალიან მძიმე მოსასმენი იყო, შოკირებული ვარ. ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. ამბობს, რომ ბავშვები არ იყვნენ, ეს სრული აბსურდია. ბავშვი დაიკითხა და სასამართლოში მოყვა, რა როგორ იყო. თავის დაცვის მიზნით მის ადვოკატთან ერთად რაღაცას მოიმოქმედებს. ადვოკატი იცავს, მაგრამ რას იცავს, ვის იცავს და როგორ?

ამბობს, თითქოს ბავშვები არ იყვნენ და ჩემმა შვილმა იძალადა. ძალიან ბევრი უაზრობა მოვისმინე მისი მხრიდან. იმედი მაქვს, სასამართლო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

მან შვილი მომიკლა და ამის გამო უნდა დაისაჯოს. შვილი მომიკლა თავისი მცირეწლოვანი ბავშვების თვალწინ, ეს არის სრული სიმართლე. რა თქმა უნდა, ეს არის სისასტიკე! ის იმსახურებს უვადო პატიმრობას, – აცხადებს ნათელა გობაძე.



– განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობაა, 32 ჭრილობა გარდაცვლილის სხეულზე და ასევე, განსაკუთრებული სისასტიკეა 6 და 3 წლის შვილების თვალწინ დედის მკვლელობა.

აღნიშნულის შესახებ პროცესის დასრულების შემდეგ საქმის პროკურორმა, გია შაიშმელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, ბრალდებული ვეფხია ბაქრაძე განსაკუთრებული სისასტიკისგან თავის არიდებას ცდილობს.

– დღევანდელ სასამართლო სხდომაზე დასრულდა ბრალდებულის დაკითხვა, რომელიც წინა პროცესზე დაიწყო. ბრალდებული ცდილობს თავის გამართლებას და განსაკუთრებული სისასტიკისგან თავის არიდებას. საქმის გარემოებები კი სულ სხვა ფაქტებზე მიუთითებენ.

განსაკუთრებული სისასტიკით რომ არის აღნიშნული მკვლელობა ჩადენილი, ამაზე ბრალდებულისგან არც ველოდით ინფორმაციის მოწოდებას. ამის თაობაზე საქმეში არსებული მტკიცებულებები საუბრობს და საუბრობენ მოწმეები, არსებობს ექსპერტიზის დასკვნები, რითიც დასტურდება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ჩადენა, – განაცხადა პროკურორმა შაიშმელაშვილმა.

სხვა პოზიცია აქვს ბრალდებულის ადვოკატს.

– გამოძიების განზრახვა მძიმე ბრალდებების შერაცხვა იყო, რაც სასამართლო განხილვების დროს არ დადგინდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რა ბრალდებებიც ბრალდების მხრიდანაა შერაცხული, აბსოლუტურად ტყუილია, – განაცხადა ვეფხია ბაქრაძის ადვოკატმა თეიმურაზ მაგრაქველიძემ.

როგორც ის განმარტავს, ბრალდებულს დანას თამარ გამრეკელაშვილი ურტყამდა და ამის შედეგად, მან დაზიანებებიც მიიღო. თუმცა, საქმეში ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს.

– როცა მოსამართლე დაეკითხა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, ბაქრაძემ აღნიშნა, თუ სად ჰქონდა დაზიანებები, რაც ექსპერტმა არ დაადასტურა. ბრალდებულს გამოკითხვის ოქმიც არ გადასცეს. გამოძიების განზრახვა მძიმე ბრალდებების შერაცხვა იყო, რაც სასამართლო განხილვების დროს არ დადგინდა.

პროკურორმა გამოკითხა ბრალდებული ვეფხია ბაქრაძე. მის მიმართ მძიმე მუხლითაა ბრალდება შერაცხული – განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა, წამება, მუქარა, გაუპატიურება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანი ასეთ რამეს შეძლებდა. ისეთი მუხლები აქვს შერაცხული, რომ პროკურორი ყველაფერს ცდილობს, რათა სასამართლო და მოსამართლე ამაში დაარწმუნოს, – განაცხადა მაგრაქველიძემ.

შემდეგი სასამართლო სხდომა 10 დეკემბერს, 14:00 საათზე დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვით გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ თამარ გამრეკელაშვილი მიმდინარე წლის 13 აპრილს, თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე მოკლეს. მას ყელი ჰქონდა გამოჭრილი. აღნიშნულ დანაშაულზე სამართალდამცავებმა მოკლულის მამინაცვალი, ვეფხია ბაქრაძე 14 აპრილს, თელეთში დააკავეს. ის მიმალვაში იმყოფებოდა.

გამოძიება 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში გულისხმობს. აღნიშნული მუხლი 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

# თურქეთში საქართველოს ორი მოქალაქე ძარცვის ბრალდებით დააკავეს



თურქეთში საქართველოს ორი მოქალაქე ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

ოთხი ქართველისგან შემდგარ კრიმინალურ ჯგუფს სტამბოლის ერთ-ერთ რაიონში მოსახლეობა ტერორში ჰყავდა.

თურქული მედიის ცნობით, ჯგუფის ორმა წევრმა სტამბოლში ერთი ბიზნესმენი დაჭრა და 111 ათასი ლირა გამოსძალა. შემთხვევა 16 ნოემბერს მოხდა. კიდევ ერთი თავდასხმა კი ჯგუფმა საიუველირო მაღაზიაზე განახორციელეს, რასაც პოლიციელი შეესწრო. მან ცეცხლი გახსნა, თუმცა დამნაშავეებმა დანაშაულის ადგილიდან მიმალვა სცადეს. ერთ-ერთი მათგანი პოლიციამ მაშინვე დააკავა, მეორე კი ძიების შედეგად აიყვანეს.

# „4 ტყვია ჰქონდა ნასროლი, 1 თავის არეში, 1 გულში და 2 მუცელში“

## ფოკაში მკვლელობის დეტალები

3 დეკემბერს ფოკაში 33 წლის ახალგაზრდა ხაჟიკ ტოროსიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან ოთხი გასროლით მოკლეს.

მოკლული მამაკაცის ახლობლებმა მკვლელობაში ბრალდებულის ორი სახლი და ოთხი ავტომობილი დაწვეს. თუმცა, გამოძიებას სავარაუდო დამნაშავეები ჯერ არ ჰყავს დადგენილი.

სოფელში მღელვარება 33 წლის მამაკაცის მკვლელობის შემდეგ დაიწყო. არსებული ინფორმაციით, ხაჟიკ ტოროსიანი მისივე თანაკლასელმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა.

33 წლის ახალგაზრდის მკვლელობის მოტივად შურისძიებას ასახელებენ.

გარდაცვლილის მამის ინფორმაციით, ახალგაზრდებს შორის კონფლიქტი ზაფხულში დაიწყო, ინციდენტის დროს კი მისი შვილი დააკავეს, გათავისუფლების შემდეგ დაპირისპირება ისევ გაგრძელდა.

– ოთხი ტყვია ჰქონდა ნასროლი, ერთი თავის არეში, ერთი გულში და ორი მუცელში. ერთი რომ ესროლა, საკმარისი არ იყო და კიდევ სამჯერ ესროლა. ადრე, რამდენიმე თვის წინ, იჩხუბეს, მაშინ ნასვამი იყო და ამ ხნის მანძილზე ზეწოლას ახდენდა ჩემს შვილზე. ძალიან მდიდარია და ჰგონია, რომ ყველაფრის უფლება აქვს, – განაცხადა მოკლულის მამამ.

დაკავებულის ადვოკატი გარდაცვლილის მამისგან განსხვავებულ ვერსიას ყვება.

მისი თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ხაჟიკ ტოროსიანისგან მუდმივად განიცდიდა




ზეწოლას, რის შემდეგაც მკვლელობა განიზრახა.

დაკავებული ჩადენილ მკვლელობას აღიარებს. მკვლელობაში ბრალდებულის ოჯახის წევრები სოფლიდან გახიზნულები არიან.



# თბილისის აეროპორტში პორტუგალიისა და ირანის მოქალაქეები დააკავეს

ნარკოდანაშულისთვის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში პორტუგალიისა და ირანის მოქალაქეები დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია 3 კილო და 100 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ და 8 შეკვრად დაფასოებული, ნახევარ კილოგრამამდე „ჰეროინი.“

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა, მამუკა ჭელიძემ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

შსს-ის ცნობით, პორტუგალიის მოქალაქე 1979 წელს დაბადებული ა.ფ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული საქართველოში ბრაზილიიდან ჩამოფრინდა. სამართალდამცველებმა, მისი ბარგის ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 3 კილო და 100 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ამოიღეს, რაზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ასევე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულია ირანის ორი მოქალაქე. სამართალდამცველებმა ორივე დაკავებულისგან ნივთმტკიცებად ამოიღეს 8 შეკვრად დაფასოებული, ნახევარ კილომდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი,“ რომელზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ნარკოტიკი ირანიდან უკანონოდ შემოიტანეს.

# ხელვაჩაურში 2 თვის ჩვილი ეტლიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ორი თვის ბავშვი გარდაიცვალა. გოგონა საბავშვო ეტლიდან გადმოვარდა და თავი დაარტყა.

ჩვილი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

შემთხვევა მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მოხდა.

2018, 6 დეკემბერი, №289

# რა დაუჯდება რუსეთს არმიის გაძლიერება?



ვლადიმერ პუტინი თავდაცვის მინისტრ შოიგუს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა გამწვავებული საერთაშორისო მდგომარეობა და რუსეთის არმიის შემდგომი გაძლიერება იყო.

ჟურნალისტებთან საუბარში შოიგუმ განაცხადა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა გამწვავდა. აშშ-ის მიერ საშუალო და მცირე სიშორის რაკეტებთან დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ გამალებული შეიარაღება იწყება. ეს აიძულებს რუსეთს, მიიღოს შესაბამისი ზომები.

– ჩვენ გავატარებთ კომპლექსურ ღონისძიებებს რუსეთის არმიის შემდგომი გაძლიერებისთვის, – თქვა შოიგუმ.

არმიის გაძლიერება რუსეთს 42 ტრილიონი მანეთი დაუჯდება. გაუძლებს ამას რუსეთის ეკონომიკა?

# იტალიაში კოზა ნოსტრას ახალი თავკაცი დააპატიმრეს



იტალიის პოლიციამ მაფიოზების წინააღმდეგ ფართო სპეცოპერაცია ჩაატარა. დაკავებულია 46 მაფიოზო, მათ შორისაა კოზა ნოსტრას ახალი ბოსი, 80 წლის სეტიმინო მინეო.

მინეო კოზა ნოსტრას შარშან ჩაუდგა სათავეში.

მინეოს პერსონა იტალიელი ძალოვანებისთვის კარგადაა ცნობილი. ის მაფიოზური მოღვაწეობისთვის არაერთგზის იყო ნასამართლევი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ევგენი მარჩუკი: „მოსკოვი ტყვეთა გაცვლის პროცესს საბოტაჟს უწევს“



მინსკის მოლაპარაკებებზე უკრაინული დელეგაციის ხელმძღვანელმა, გენერალმა ევგენი მარჩუკმა განაცხადა, რომ რუსები ტყვეთა გაცვლის თაობაზე მოლაპარაკებებს საბოტაჟს უწევენ.

უკრაინა მომხრეა იმისა, რომ ყველა ყველაში გაიცვალოს. რუსები სიტყვიერად ამას ეთანხმებიან, თუმცა საქმით სულ სხვას აკეთებენ.

– რუსეთის ფედერაცია ცდილობს, ტყვეთა გაცვლით ისეთ დამნაშავეთა გათავისუფლებას მიაღწიოს, რომელთაც დონბასის ომთან არავითარი კავშირი არა აქვთ და სასჯელს კრიმინალური ქმედებებისთვის იხდიან, – განაცხადა მარჩუკმა.

# აშშ და ევროპა რუსეთის მიმართ სანქციებს გააძლიერებენ



აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა დონბასის კონფლიქტის დარეგულირებაში კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ აშშ და ევროპა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს გააძლიერებენ.

მიზეზი ქერჩის სრუტეში მომხდარი ინციდენტი და უკრაინელი მეზღვაურების დაკავებაა.

– მეზღვაურები აუცილებლად უნდა გაათავისუფლონ, – ამბობს ვოლკერი.

ამერიკელი დიპლომატის აზრით, ან ძველ სანქციებს გააძლიერებენ, ან ახლებს შემოიღებენ.

# სლოვაკეთმა ქვეყნიდან რუსი დიპლომატი გააძევა



სლოვაკეთმა ქვეყნიდან რუსი დიპლომატი გააძევა.

ამის შესახებ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა პეტერ პელეგრინიმ განაცხადა.

– სამხედრო დაზვერვისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სლოვაკეთში რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშეს აპარატიდან დიპლომატი „პერსონა ნონ გრატად“ იყო გამოცხადებული, ვინაიდან ის სადაზვერვო საქმიანობით იყო დაკავებული სლოვაკეთისა და ნატო-ს წინააღმდეგ, – განაცხადა სლოვაკეთის პრემიერმა.

რუსმა დიპლომატმა უკვე დატოვა სლოვაკეთი.

# ამერიკელი სენატორები საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცის წინააღმდეგ



ამერიკელ სენატორთა ჯგუფი ცსს-ს დირექტორ ჯინა ჰასპელს შეხვდა.

საუბრის ძირითადი თემა ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობა იყო.

ჰასპელთან შეხვედრის შემდეგ სენატორებმა განაცხადეს, რომ ჰაშოგი მართლაც საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცის, მუჰამად სალმანის ბრძანებით მოკლეს.

– ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მუჰამედ სალმანს აუცილებლად გაამტყუნებდა, – ამბობს სენატორი ბობ კორკერი.

ტრამპის ადმინისტრაცია ასეთ შეფასებას არ ეთანხმება. სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო აცხადებს, რომ არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მუჰამად სალმანის ბრალეულობას დაადასტურებდა.

## კალეიდოსკოპი

# ავსტრალიელს თავზე ათასობით მკვდარი ღამურა დაეცა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ კერნსში სიცხის გამო ღამურები მასობრივად იღუპებიან. ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები იძულებული გახდა, სახლი მას შემდეგ მიეტოვებინა, როდესაც მისი ეზო 5,5 ათასი მკვდარი ღამურით მოიფინა.

ნოემბრის ბოლოს ფილიპ შურმა აღმოაჩინა, რომ მთელი მისი ეზო მკვდარი ღამურებით იყო გადავსებული. 40 გრადუსიან სიცხეში მათ ხრწნა დაიწყეს და ქალმა კინაღამ გონება დაკარგა მათი სუნისგან.

– ისეთი სურათი იყო, რომ საშინელებათა ფილმის სცენა გეგონებოდათ: ყველგან ლპობა დაწყებული ღამურები ეყარა, – განაცხადა ავსტრალიელმა ქალბატონმა.

ხელისუფლებამ მას და მის ორ ბავშვს დროებითი თავშესაფარი გამოუყო, სადაც ისინი უკვე ერთი კვირაა ღამეს ათევენ.

მსგავს პრობლემას სხვა ადგილობრივებიც უჩივიან. მკვდარი ღამურები გამუდმებით ცვივიან ციდან. აუტანელი სუნის გამო ადგილობრივ ეკლესიაში ღვთისმსახურებაც კი შეწყდა.

# ფეხბურთის მოყვარულმა კინაღამ საკუთარი ლამბორჯინი დაწვა



ვიეტნამში ლამბორჯინის მფლობელი ეროვნული ნაკრების გამარჯვებას ზეიმობდა და კინაღამ საკუთარი ავტომობილი დაწვა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

აღნიშნული ინციდენტი ვიეტნამის და ფილიპინების საფეხბურთო მატჩის დასრულების შემდეგ მოხდა. გულშემატკივარმა, რომელიც ლამბორჯინის საჭესთან იჯდა, გადაწყვიტა, ფეხბურთელების პატივსაცემად ქალაქის ქუჩებში გამარჯვების აღსანიშნავი წრე დაერტყა.

შუქნიშანთან მძღოლმა მრავალჯერ დააჭირა ფეხი სატერფულს, რის გამოც გამონაბოლქვის მილიდან ცეცხლის ენა გამოვარდა და მანქანის უკანა ნაწილს მოედო. ვიდეორგოლში ისმის თუ როგორ აყვირდნენ ქალები ცეცხლის დანახვაზე.

მძღოლს ცეცხლის ჩაქრობაში ირგვლივ მყოფი მოტოციკლეტების მძღოლები მიეხმარნენ, რომლებმაც ამისთვის ქსოვილები გამოიყენეს.

# ამერიკის პოლიცია უიღბლო შეყვარებულს ეძებს



ნიუ-იორკში პოლიციელები ეძებენ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელმაც თავის შეყვარებულს ხელი ქალაქის მთავარ მოედანზე ტაიმს-სკვერზე სთხოვა და ნიშნობის ბეჭედი სანიაღვრეში ჩაუვარდა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. გოგონამ ბიჭს თანხმობით უპასუხა, რამაც ახალგაზრდა ისე გაახარა, რომ ბეჭედი ხელიდან გაუვარდა და სანიღვრე კოლექტორზე დაფარებულ ცხაურში ჩაუვარდა.

– ჩვენმა თანამშრომლებმა ბეჭედი ამოიღეს და გვსურს ის ბედნიერ წყვილს დავუბრუნოთ. მათ პოვნაში დაგვეხმარეთ, – ნათქვამია შეტყობინებაში, რომელიც ტვიტერში პოლიციის გვერდზეა განთავსებული და იქვე განმარტებულია, რომ ბეჭედი ჭუჭყისგან მთლიანად გაწმენდილია.

პოლიციამ ასევე გამოაქვეყნა ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი. კადრებში ჩანს, რომ ახალგაზრდა მამაკაცი მუცელზეც კი წვდება, რომ როგორმე ბეჭედს მისწვდეს და ამოიღოს.

# ფილიპინებში კაციჭამია ნიანგი დაიჭირეს



ფილიპინების პროვინცია პალავანში უზარმაზარი ნიანგი დაიჭირეს, რომელმაც ადგილობრივების ვარაუდით მეთევზე მოკლა.

რეპტილიის სიგრძე 4,75 მეტრს აღწევს, ხოლო, სავარაუდოდ, 400-დან 500 კილოგრამამდე იქნება. მისი პალავანის ველური ბუნების დაცვისა და გადარჩენის ცენტრში გადაყვანაა დაგეგმილი. იქ არის განთავსებული სპეციალური ფერმა, სადაც ნიანგებსა და ალიგატორებს ამრავლებენ. იქ სპეციალისტები აპირებენ, ნიანგს კუჭი გამოურეცხონ, რათა დაადგინონ, მართლა მან შეჭამა თუ არა ადამიანი.

35 წლის მეთევზის სხეულის ნაწილები ნოემბრის ბოლოს იპოვნეს. მას აღარ ჰქონდა მარცხენა ხელი და ფეხი. სხეულზე უამრავი ნაჭრილობევი აღინიშნებოდა, რომელიც, სავარაუდოდ, ნიანგის კბილებისგან იყო მიყენებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# განცხადებები

## სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ლუკა მოდრიჩი: „კარგად ვჭამ, ვსვამ და კარგადაც მძინავს“



ლუკა მოდრიჩი „ოქროს ბურთის“ გამარჯვებული გახდა. ხორვატმა ნახევარმცველმა ამით ლიონელ მესისა და კრიშტიანუ რონალდუს 10-წლიანი ჰეგემონია დაამხო.

ამ პრიზს პოპულარული საფეხბურთო გამოცემა ფრანს ფუტბოლი აწესებს და ცხადია, ტრიუმფატორის პირველი ინტერვიუც სწორედ იქ გამოქვეყნდა.

**ლუკა მოდრიჩი:**

– ცხოვრებაში ყველაფერი საუკეთესო იოლად არ მოდის და მე ამის მჯერა. ჩემი ცხოვრება ერთი დიდი ბრძოლაა მიზნის მისაღწევად, ყოველთვის ბევრი შრომა მჭირდება, რომ მივაღწიო სასურველ შედეგს. დიახ, ეს იოლი არ იყო, მაგრამ მე მოვიგე „ოქროს ბურთი“!

***– თქვენ დაამხეთ კრიშტიანუსა და მესის ჰეგემონია.***

– ისტორიას ის დარჩება, რომ ხორვატმა ფეხბურთელმა, რომელიც თავის პატარა ქვეყანას წარადგენდა, მოიგო „ოქროს ბურთი“ კრიშტიანუ რონალდუსა და ლიონელ მესის შემდეგ, რომლებიც სულ სხვა დონეზე არიან. არავის აქვს უფლება, შეედაროს მათ. ისინი სპორტის ამ სახეობის ისტორიაში საუკეთესონი არიან. მათ მერე გამარჯვება უდიდესი მიღწევაა. თუმცა ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ მათი ეპოქა დასრულდა.

***– როგორი შეგრძნებაა, როცა „ოქროს ბურთს“ იგებ?***

– ჩემ თავს ნორმალურ ადამიანად აღვიქვამ და ასევე ვმოქმედებ, ხალხმაც იცის, რომ მე ერთი ჩვეუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ლიბერტადორესის ფინალის მადრიდში ჩატარებას ორივე გუნდი აპროტესტებს

კომნებოლის (სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაცია) გადაწყვეტილებით კოპა ლიბერტადორესის საპასუხო ფინალური მატჩი, რომელიც უკვე ორჯერ ჩაიშალა, 9 დეკემბერს მადრიდში გაიმართება.

კომნებოლმა ეს გადაწყვეტილება კი მიიღო, მაგრამ უარზეა ფინალის ერთ-ერთი მონაწილე რივერ პლეიტი. სწორედ რივერს უნდა ემასპინძლა მე-2 მატჩისთვის, რომელიც მათი გულშემატკივრების უმსგავსო საქციელის გამო ჩაშალა.

რივერ პლეიტის ხელმძღვანელობისთვის გაუგებარია, რატომ უნდა გაიმართოს თამაში ესპანეთში.

– ეს დიდი უსამართლობაა იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ფინალზე დასწრება სურდათ. გადაწყვეტილება ზიანს მიაყენებს მთლიანად ლიბერტადორესის თასის იმიჯს. არგენტინის ფეხბურთის ასოციაციამ არ უნდა დაუშვას, რომ ერთი-ორი მოძალადე ფანის გამო ზიანი მიადგეს სუპერკლასიკოს, – აცხადებენ კლუბის მესვეურები.

მადრიდში თამაშის გამართვის წინააღმდეგია ბოკა ხუნიორსიც, რომელიც სულაც რივერ პლეიტის დასჯას მოითხოვს.



შეგახსენებთ, რომ კოპა ლიბერტადორესის ფინალში ისტორიაში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს არგენტინული გრანდები – ბოკა ხუნიორსი და რივერ პლეიტი. პირველი მატჩი ჯერ კოკისპირული წვიმის გამო გადაიდო, შემდეგ „ბომბონერაზე“ 2:2 დასრულდა, საპასუხო მატჩის დაწყებამდე კი რივერის ფანებმა ბოკას ავტობუსს შეუტიეს, შედეგად, ბოკა ხუნიორსის ფეხბურთელები დაშავდნენ, თამაში კი აღარ გაიმართა.

# შედეგები

**4 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბორნმუთი-ჰადერსფილდი ............ 2:1
ბრაიტონი-კრ.პალასი ............ 3:1
ვესტ ჰემი-კარდიფი ............ 3:1
უოტფორდი-სიტი ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 15 | 13 | 2 | 0 | 45:7 | 41 |
| 2.ლივერპული | 14 | 11 | 3 | 0 | 27:5 | 36 |
| 3.ჩელსი | 14 | 9 | 4 | 1 | 30:11 | 31 |
| 4.არსენალი | 14 | 9 | 3 | 2 | 32:18 | 30 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 10 | 0 | 4 | 25:15 | 30 |
| 6.ბორნმუთი | 15 | 7 | 2 | 6 | 25:22 | 23 |
| 7.ევერტონი | 14 | 6 | 4 | 4 | 20:16 | 22 |
| 8.მანჩესტერი | 14 | 6 | 4 | 4 | 22:23 | 22 |
| 9.ლესტერი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:17 | 21 |
| 10.ბრაიტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 19:21 | 21 |
| 11.უოტფორდი | 15 | 6 | 2 | 7 | 18:21 | 20 |
| 12.ვესტ ჰემი | 15 | 5 | 3 | 7 | 20:23 | 18 |
| 13.ვულვზი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:17 | 16 |
| 14.ნიუკასლი | 14 | 3 | 3 | 8 | 11:19 | 12 |
| 15.კრ.პალასი | 15 | 3 | 3 | 9 | 11:20 | 12 |
| 16.კარდიფი | 15 | 3 | 2 | 10 | 14:30 | 11 |
| 17.ჰადერსფილდი | 15 | 2 | 4 | 9 | 10:26 | 10 |
| 18.საუთჰემპტონი | 14 | 1 | 6 | 7 | 12:26 | 9 |
| 19.ბარნლი | 14 | 2 | 3 | 9 | 13:29 | 9 |
| 20.ფულემი | 14 | 2 | 2 | 10 | 14:35 | 8 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ვალენსია-ებრო ............ 1:0
ხეტაფე-კორდობა ............ 5:1
რაიო-ლეგანესი ............ 0:1
ესპანიოლი-კადისი ............ 1:0

**იტალია. თასი**

ბენვენტო-ჩიტადელა ............ 1:0
ბოლონია-კროტონე ............ 3:0
სამპდორია-სპალი ............ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ამიენი-მონაკო ............ 0:2
ნიცა-ანჟე ............ 0:0
მონპელიე-ლილი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 14 | 1 | 0 | 48:9 | 43 |
| 2.ლილი | 16 | 9 | 3 | 4 | 24:14 | 30 |
| 3.მონპელიე | 16 | 8 | 5 | 3 | 24:12 | 29 |
| 4.ლიონი | 15 | 8 | 4 | 3 | 26:18 | 28 |
| 5.მარსელი | 15 | 8 | 2 | 5 | 27:22 | 26 |
| 6.სტ.ეტიენი | 15 | 7 | 5 | 3 | 22:18 | 26 |
| 7.ნიცა | 16 | 7 | 4 | 5 | 12:14 | 25 |
| 8.სტრასბური | 15 | 5 | 6 | 4 | 24:18 | 21 |
| 9.რეიმსი | 15 | 5 | 6 | 4 | 10:13 | 21 |
| 10.ნიმი | 15 | 5 | 5 | 5 | 22:20 | 20 |
| 11.ბორდო | 15 | 4 | 6 | 5 | 16:17 | 18 |
| 12.ანჟე | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | 18 |
| 13.ნანტი | 15 | 4 | 5 | 6 | 21:22 | 17 |
| 14.რენი | 15 | 4 | 5 | 6 | 19:25 | 17 |
| 15.ტულუზა | 15 | 3 | 6 | 6 | 13:24 | 15 |
| 16.კაენი | 15 | 2 | 7 | 6 | 12:18 | 13 |
| 17.მონაკო | 16 | 3 | 4 | 9 | 16:24 | 13 |
| 18.დიჟონი | 15 | 3 | 4 | 8 | 14:25 | 13 |
| 19.ამიენი | 16 | 4 | 1 | 11 | 14:29 | 13 |
| 20.გენგამი | 15 | 1 | 5 | 9 | 10:30 | 8 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

აიაჩო-ნანსი ............ 1:1
ბეზიე-გრენობლი ............ 0:3
ლე ავრი-შატორუ ............ 2:1
ლანსი-ბრესტი ............ 2:1
მეცი-რედ სტარი ............ 2:0
ნიორი-ვალანსიენი ............ 1:0
სოშო-გაზელეკი ............ 2:0
ტრუა-ორლეანი ............ 3:2
პარიზი-კლერმონი ............ 3:0

**ბელგია. თასი**

კორტრაიკი-ვარეგემი ............ 1:0
გენტი-ბეერსხოტი ............ 3:0

***გენტის მე-3 გოლი გიორგი ჩაკვეტაძემ გაიტანა***

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# საბურთალომ ფარი ჩაიბარა, ფლეი აუტის თარიღები ცნობილია

**საბურთალო-ჩიხურა 0:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

22-ე წუთზე გიორგი გაბედავა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე, ცნობილაძე, რეხვიაშვილი, ალთუნაშვილი (ტერა 68), გორგიაშვილი, დიასამიძე (გვარაძე 46), გოშთელიანი (შინდაგორიძე 62), დვალიშვილი

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მირცხულავა, მაისაშვილი, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, დობროვოლსკი (ჩიხლაძე 70), სარდალიშვილი, გაბედავა, ლექვთაძე (ბუხაიძე 85), ბუღრიძე, კახაბრიშვილი

**გაძევება:** ლაკვეხელიანი (21)

დედაქალაქურმა საბურთალომ ეროვნული ლიგის ფარი ჩაიბარა – საზეიმო ცერომონია ჩიხურასთან ფრედ, 0:0 მატჩის დასრულების შემდეგ მოხდა. კლუბს ოქროს სინჯის მედლები და ეროვნული ლიგის ფარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა გადასცა. დაჯილდოება კი გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი 1990 წლიდან 8 გუნდს ჰქონდა მოგებული: თბილისის დინამოს, ქუთაისის ტორპედოს, ვიტ ჯორჯიას, ბოლნისის სიონს, ზესტაფონს, რუსთავის მეტალურგს, სამტრედიასა და გორის დილას. ამჯერად კი, ფარის აწევით ჩამონათვალს მე-9 ჩემპიონი – საბურთალო შეემატა!

2018 წელი საბურთალოსთვის წარმატებული გამოდგა. გუნდმა სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა და დამსახურებულად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. სამწვრთნელო შტაბმა, ფეხბურთელებმა და ხელმძღვანელებმა მაქსიმუმი გაიღეს, რათა კლუბს აღნიშნული შედეგისთვის მიეღწია. საბურთალომ ისტორიაში პირველად შეძლო ქვეყნის ყველაზე მთავარი ტიტულის მოგება და გაისად ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლებაც მოიპოვა.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს: შეხვედრის 21-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მთავარმა არბიტრმა ბაკურ ნინუამ ლუკა ლაკვეხელიანს წითელი ბარათი უჩვენა და საბურთალოელთა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა, თუმცა გიორგი გაბედავას დარტყმული ბურთი მეკარე ლაზარე კუპატაძემ მოიგერია.

მიუხედავად უმცირესობისა, საბურთალოს გოლის გატანის შანსი რამდენჯერმე შეექმნა – ჯერ ვლადიმერ დვალიშვილს შეეძლო გოლის გატანა, მეორე ნახევარში კი გურამ გოშთელიანი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ დარტყმული დინო ჰამზიჩმა მოიგერია.

თავის მხრივ, ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ გუნდები მშვიდობიანად დაშორდნენ.

**რუსთავი-სამტრედია 3:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 კვარაცხელია (14), 2:0 ქავთარაძე (67), 3:0 მარცვალაძე (74)

**რუსთავი:** მიგინეიშვილი, პაპავა, სილაგაძე, ქავთარაძე, ლობჯანიძე (მარცვალაძე 64), კვირკველია, კვარაცხელია (ჩოგაძე 77), ფონიავა (ზვიადაძე 77), თარხნიშვილი, თ.კირკიტაძე, კილასონია

**სამტრედია:** სტურუა, გურული, კოშმანი, ტუღუში, გორელიშვილი, მაქაცარია (კუჭუხიძე 85), ბურკაძე (მამასახლისი 46), კერძევაძე, ფატიჩი, გოგიაშვილი, ენდელაძე

რუსთავმა საკმაოდ იოლად, 3:0 მოუგო სამტრედიას და ელიგაში ადგილი შეინარჩუნა. ანგარიში ახალგაზრდა ხვიჩა კვარაცხელიამ გახსნა, მე-2 ტაიმში კი, ბექა ქავთარაძემ და ოთარ მარცვალაძემ საბოლოო სახე მისცეს ანგარიშს.

რუსთაველებმა ელიგაში ადგილი კი შეინარჩუნეს, მაგრამ დასარჩენად ბრძოლა მოუწევს სამტრედიას, რომელიც ფლეი აუტში მოხვდა.

**კოლხეთი-დინამო (თბ) 0:2**

**ფოთი.** პარკი არენა

0:1 შენგელია (19), 0:2 ზივზივაძე (79)

**კოლხეთი:** მიქავა, კერელეიშვილი, ძაძამია, დოროშენკო, აფხაზავა, აშორტია (მახარაძე 66), კაბორე, იმნაძე, შალიკაშვილი (კოკაია 46), პრიჩინენკო (ციკოლია 36), ტყემალაძე

**დინამო:** სიკაჩი, რუხაია (ივანიშვილი 77), თოთაძე, კობოური, ზარია (ქარდავა 73), ზივზივაძე, შულაია, ივანისენია, ხარაბაძე, შენგელია (კუცია 85), ძოწენიძე

დინამო თუ მოიგებდა, მე-2 ადგილი გარანტირებული ჰქონდა. ასეც მოხდა: ლიგის აუტსაიდერთან დედაქალაქელებს მოგება არ გასჭირვებიათ.

არადა, პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს: მე-12 წუთზე ლუკა იმნაძის დარტყმული კარის ძელმა მოიგერია. დინამომ უმატა შეტევებს და მე-17 წუთზე მიჯრით 3 სახიფათო დარტყმა განახორციელა კარისკენ: ბუდუ ზივზივაძის დარტყმული მცველმა მოიგერია, დამატებაზე აკაკი შულაიას მეკარემ აუღო, კიდევ ერთი დარტყმა ლევან შენგელიამ შეასრულა და ბურთი ოდნავ აცდა კარს. შენგელიამ ორიოდე წუთში გამისწორა მიზანი და საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან ზუსტად გაისროლა – 0:1.

პირველი ნახევრის ბოლოს ზივზივაძის დარტყმის შემდეგ უკვე მასპინძელთა კარი იხსნა ძელმა და ტაიმიც მორჩა.

მე-2 ნახევრის დებიუტში სტეპან სიკაჩმა ვალიკო ტყემალაძის დარტყმის შემდეგ იხსნა კარი. საპასუხოდ შენგელიას თავით დარტყმული ბაჩო მიქავამ მოიგერია. ცოტა ხანში დინამოელთა სწრაფი კომბინაცია შულაიას ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტი დარტყმით დასრულდა. 68-ე წუთზე მიქავამ გუჯა რუხაიასაც აუღო, რომელმაც მალე ფოთელთა მეკარეს კი ააცილა, მაგრამ კარის ჩარჩოსაც ვერ დაუმიზნა.

სამაგიეროდ 78-ე წუთზე შულაიას ჩაწოდებულს ზუსტად შეაგება თავი ზივზივაძემ, ჩემპიონატში 22-ე გოლი გაიტანა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 2:0.

**სიონი-ტორპედო 0:3**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

0:1 ლაჩნი (35), 0:2 წიქარიძე (65), 0:3 ქიმაძე (84)

**სიონი:** ზარქუა, მინდორაშვილი (თომაშვილი 79), ნოზაძე, ქიქავა, უგულავა, მანაგაძე (მიქაბერიძე 68), ლეჟავა, ხეცურიანი, დათუნაიშვილი, სიხარულია (კოშკაძე 69), გიორბელიძე

**ტორპედო:** კვასხვაძე (ქვილითაია 46), კუხიანიძე, აზაცკი, გეგეჭკორი, კუტალია (დაფე 64), წიქარიძე, ქიმაძე, მარინი, კობახიძე, ლაჩნი (ჰასელბაინკი 67), გიგაური

ტურის წინ ტორპედოს ჯერ კიდევ ჰქონდა შანსი მე-2 ადგილზე გასულიყო, მაგრამ დინამოს ფოთში მოგების ამბავი უკვე იცოდა და ეს შანსი აღარ არსებობდა. ამიტომაც მშვიდად გავიდა მოედანზე და მშვიდადვე მოიგო. მით უფრო, რომ მეტოქეც უმოტივაციო ჰყავდა.

ერთია, მიხეილ მესხის სათადარიგო მოედნის საფარი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მინდორი საშინელ მდგომარეობაშია და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ეროვნული ლიგის ნახევარი სწორედ ამ მოედანს იყენებს სამასპინძლოდ.

**დილა – ლოკომოტივი 4:0**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე

1:0 კოვტალიუკი (43), 2:0 ნონიკაშვილი (75), 3:0 კოვტალიუკი (89პ), რაჟამაშვილი (90)

**დილა:** გუგეშაშვილი, გ.გადრანი, ჩადუნელი, სანტოსი, გრიგალაშვილი (კორიფაძე 10), რაზმაძე, ქავთარაძე, გოგუა (ლემპტი 64), ნონიკაშვილი (რაჟამაშვილი 81), რიბეირო, კოვტალიუკი

**ლოკომოტივი:** შეროზია, ქურდაძე, ანდრონიკაშვილი, გაბაძე, უბილავა, გვალია, გრძელიძე (ოზბეთელაშვილი 73), კომახიძე (კობახიძე 56), სამურკასოვი (ჯანაშია 81), არდაზიშვილი, გავაშელიშვილი

გორის დილა აგრძელებს ბრძოლას მე-4 ადგილისთვის, რომელიც ევროსაგზურის მომტანი იქნება. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. გოლი ტაიმის მიწურულს მიკოლა კოვტალიუკმა გაიტანა. მეორე ნახევარში, 75-ე წუთზე ლევან ნონიკაშვილმა ლუკა შეროზიას კარი მეორედ აიღო, 89-ე წუთზე კოვტალიუკმა, თერთმეტმეტრიანი დარტყმით, დუბლი შეასრულა, მატჩის საბოლოო შედეგი კი, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში, დავით რაჟამაშვილმა დააფიქსირა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 35 | 23 | 7 | 5 | 60-28 | 76 |
| 2.დინამო | 35 | 21 | 6 | 8 | 72-36 | 69 |
| 3.ტორპედო | 35 | 19 | 9 | 7 | 62-25 | 66 |
| 4.ჩიხურა | 35 | 18 | 7 | 10 | 52-32 | 61 |
| 5.დილა | 35 | 16 | 12 | 7 | 58-39 | 60 |
| 6.ლოკომოტივი | 35 | 11 | 8 | 16 | 42-55 | 41 |
| 7.რუსთავი | 35 | 8 | 13 | 14 | 33-43 | 37 |
| 8.სიონი | 35 | 8 | 7 | 20 | 38-63 | 31 |
| 9.სამტრედია | 35 | 4 | 9 | 22 | 27-77 | 21 |
| 10.კოლხეთი | 35 | 4 | 8 | 23 | 26-72 | 14 |

**შენიშვნა:** კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

მაშ ასე: როგორც ელიგაში, ისე პირველ ლიგაში ცნობილია თუ ვინ ითამაშებს ელიტარული ლიგის 2 ადგილისთვის. ასევე ცნობილი გახდა პლეი ოფების ჩატარების თარიღებიც.

ფოთის კოლხეთი ეროვნული ლიგიდან გავარდა და მის ადგილს ბათუმის დინამო დაიკავებს.

მე-8 ადგილი დაიკავა ბოლნისის სიონმა და 12 დეკემბერს ეროვნული ლიგა 2-ის მესამეადგილოსან გაგრას სტუმრად შეხვდება. საპასუხო მატჩი 15 დეკემბერს გაიმართება.

მე-9 პოზიციაზე გასული სამტრედია კი, ეროვნულ ლიგა 2-ის მეორეადგილოსან ვიტ ჯორჯიას ამავე რიცხვებში შეხვდება.

11 და 14 დეკემბერს პლეი-ოფები ეროვნული ლიგა 2-სა და ეროვნული 3-ს წარმომადგენლებს შორის გაიმართება. 10 და 13 დეკემბერს კი პლეი-ოფები ეროვნული ლიგა 3-ისა და რეგიონული ლიგის წარმომადგენლებს შორის ჩატარდება.



# ლუკა მოდრიჩი: „კარგად ვჭამ, ვსვამ და კარგადაც მძინავს“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლებრივი ადამიანი ვარ. ბედნიერი ვარ, რომ ნორმალურმა მოიგო „ოქროს ბურთი“.

***– სად შეინახავთ პრიზს?***

– პირველი ღამე „ოქროს ბურთთან“ ერთად გავატარე და პირველ დღეებშიც ჩემს საწოლ ოთახში იქნება, რადგან, როცა გავიღვიძებ, დავრწმუნდე, რომ ეს სინამდვილეა და არ დამსიზმრებია. ამის მერე კი მას შესაფერის ადგილს მოვუძებნი. სხვა პრიზებიც მაქვს, მაგრამ „ოქროს ბურთი“ განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს.

***– როდის მიხვდით, რომ პრიზი თქვენია?***

– არ ყოფილა ასეთი მომენტი. უბრალოდ, წლეულს რამდენიმე პრიზი რომ მოვიგე, დავიწყე იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება პრიზი მე დამრჩენოდა. მაგრამ არის ერთი რამ, რაც არასოდეს დამავიწყდება... ეს არის ზიდანის სიტყვა.

***– რას გულისხმობთ?***

– ზიდანი რეალში 2016 წლის იანვარში დაინიშნა და ერთ დღეს მან ვარჯიშის მერე დამიბარა კაბინეტში. მან კარგად ამიხსნა, თუ როგორ ფეხბურთელად მხედავდა მის გუნდში, რას ელოდა ჩემგან... მითხრა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვიყავი. და რაც ყველაზე მთავარია, ზიდანმა მითხრა, რომ ჩემში „ოქროს ბურთის“ მოგების პოტენციალს ხედავდა.

***– ზიდანის ამ ფრაზამ თქვენზე როგორ იმოქმედა?***

– როდესაც ზიდანის დარი ავტორიტეტი, რომელსაც ასეთი ისტორია აქვს ფეხბურთში, გეუბნება, რომ შეიძლება „ოქროს ბურთი“ მოიგო, ფრთები გესხმება. ეს დიდი მოტივაციაა. როგორც ფეხბურთელს, ზიდანს ძალიან დიდ პატივს ვცემ. როცა ის რეალის მწვრთნელი იყო, ყველანაირად მეხმარებოდა, რომ საუკეთესო ფეხბურთი მეთამაშა, ვყოფილიყავი გუნდისთვის გადამწყვეტი მოთამაშე. ზიდანის სიტყვები ძალიან დამეხმარა, მართლაც კარგ ფეხბურთს ვთამაშობდი მაშინ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე მჯეროდა, „ოქროს ბურთის“ მოგების თავი ოდესმე მექნებოდა.

***– ზიდანის გარდა, კიდევ რომელ ფეხბურთელს აფასებთ?***

– იოჰან კრუიფს! კრუიფს როცა მადარებდნენ, ძალიან მიხაროდა. ტოტენჰემში მის პატივსაცემად ავიღე 14-ნომრიანი მაისური, რადგან ჩემი საყვარელი 10-იანი დაკავებული იყო.

***– რა ხდება თქვენს ცხოვრებაში ფეხბურთის გარეშე?***

– ოჯახში ერთად ვუყურებთ ფილმებს, ცეკვებს, ვუსმენთ ხორვატულ სიმღერებს, დავდივართ რესტორანში.

***– ალბათ იქ ყველაფერს ვერ მიირთმევთ.***

– პირიქით, შემიძლია, რაც მომესურვება, ვჭამო. გენეტიკა მაქვს ისეთი, რომ საერთოდ არ ვსუქდები.

***– ალკოჰოლი?***

– ყოველ ჯერზე მეუღლესთან ერთად მიყვარს ერთი ბოთლი ღვინის გახსნა. ჩვენ უპირატესობას ხორვატულ, იტალიურ, ესპანურ და ფრანგულ ღვინოებს ვანიჭებთ. მოკლედ, კარგად ვჭამ, ვსვამ და კარგადაც მძინავს. თამაშებისთვის კი გულმოდგინედ ვემზადები.

ოჯახის საქმეებში მეუღლე ძალიან მეხმარება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ავტობუსის მძღოლმა საკუთარი შუბლის ალოკვით მგზავრები შეაშინა



ნეპალის ქალაქ ურლაბარის სასკოლო ავტობუსის მძღოლმა, რომელიც ენის შუბლამდე მიწვდენას ახერხებს, გადაწყვიტა ოფიციალურად დაარეგისტრიროს საკუთარი მიღწევა.

35 წლის იაგია ბახადურ კატუვალი ამტკიცებს, რომ მას მსოფლიოში ყველაზე გრძელი ენა აქვს.

– მინდა გინესის რეკორდების წიგნში მოვხვდე, როგორც ადამიანი, რომელსაც შეუძლია საკუთარი ცხვირი ტუჩით მთლიანად გადაფაროს და ამავე დროს ენით შუბლი აილოკოს, – განაცხადა კატუვალმა.

– ბავშვები ცდილობენ, თავი ჩემგან შორს დაიჭირონ, – ამტკიცებს ავტობუსის მძღოლი, – ზოგიერთი შარვალშიც კი იფსამს, მოზრდილებიც კი გაოგნებულები მიყურებენ, როდესაც ხედავენ, თუ რას ვაკეთებ.

მისი მეგობრის თქმით, კატუვალმა ასეთი ილეთების კეთება მხოლოდ მას შემდეგ დაიყო, როდესაც პირში ერთადერთი კბილი დარჩა.

ამ ყოველივეს მიუხედავად, მამაკაცი საკუთარი გარეგნობით კმაყოფილია.

– ვფიქრობ, რომ შესანიშნავად გამოვიყურები, – ამბობს ნეპალელი, – საშინელებათა ფილმებში თუ გადამიღებენ, ადამიანებს ყოველგვარი გრიმის გარეშეც შევაშინებ.

## „მის სამყაროს“ კონკურსანტი კონკურსზე ტრამპის და კიმ ჩენ ინის სურათებიანი კაბით გამოვა



მიმდინარე წლის „მის სინგაპურის“ ტიტულის მფლობელმა ზახრა ხანუმმა განაცხადა, რომ „მის სამყაროს“ კონკურსის დროს, რომელიც 17 დეკემბერს ჩატარდება, ჩაიცვამს კაბას, რომელზეც აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერის კიმ ჩენ ინის ისტორიული ხელის ჩამორთმევა იქნება გამოსახული.

მისი თქმით, ხელის ჩამორთმევის ციფრულგამოსახულებიანი ლურჯი ფერის კაბის შექმნას სამი თვე დასჭირდა.

– ჩემი პირველი შთაბეჭდილება კაბისგან იმაში მდგომარეობდა, რომ ის სრულიად ანგელოზურად გამოიყურებოდა, ის მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსახიერებას წარმოადგენს, – განაცხადა ხანუმმა.

## მოშინაურებულმა დათვმა მომვლელი მოკლა



იაპონიაში მოშინაურებულმა ჰიმალაის ჯიშის დათვმა თავისი მომვლელ-ზედამხედველი მოკლა.

ინციდენტი ქვეყნის დედაქალაქ ტოკიოში კვირას მოხდა. მეზობლებმა გაიგონეს, თუ როგორ ყვიროდა და შველას ითხოვდა 56 წლის სოიჩირო მორი. ისინი სახლში შევიდნენ და დაინახეს დათვის გალიაში მყოფი დაჭრილი მამაკაცი. მათ დაუყოვნებლივ გამოიძახეს პოლიცია და ექიმი. მამაკაცი, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, 15 წლის 1,3 მეტრი სიმაღლის და 50 კილოგრამი წონის ჰიმალაიური დათვი სახლის 70 წლის მფლობელს ეკუთვნოდა. მან მორი ცხოველის მოსავლელად დაიქირავა. მამაკაცს, რომლის ვინაობას პოლიცია არ ამხელს, სახლში დათვის ყოლის ოფიციალური ნებართვა ჰქონდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპილომ სამი ბეჰემოთი გააგდო

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მდინარე უმფოლოზიზე კრუიზის დროს ტურისტები სპილოს და ბეჰემოთებს შორის კონფლიქტის თვითმხილველები გახდნენ. ერთ-ერთი თვითმხილველის მიერ გადაღებული ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე კრიუგერის პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორის თქმით, მდინარეზე ცურვის




დროს მან ბევრჯერ დაინახა ბეჰემოთები, მაგრამ სპილო პირველად დაინახა.

– დიდი ხნის განმავლობაში ის მარტო იდგა, შემდეგ კი სამი ბეჰემოთი გამოჩნდა, – ყვება ტურისტი. ცხოველები ჯერ ერთმანეთს ათვალიერებდნენ., შემდეგ სპილო წინ დაიძრა და ხე მოტეხა. შეშინებული ბეჰემოთები წყალში შეცვივდნენ და გაცურეს.

– გიდის ვარაუდით, ბეჰემოთები ახალგაზრდები იყვნენ და სპილოსთან ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონდათ, სპილოს კი უბრალოდ მდინარეზე გადასვლა სურდა, – განაცხადა ვიდეოს ავტორმა, – მე პირადად კი ეს შემთხვევა ტერიტორიულ კონფლიქტს მაგონებდა.

## ჩინელმა სახელი მგლების გამოკვებით გაითქვა



ჩინეთის რეგიონის შიდა მონღოლეთის მკვიდრმა გოგონამ სახელი იმის წყალობით გაითქვა, რომ მგლის ლეკვებს საჭმელს პირით აძლევს.

20 წლის ჩჟოუ სინიუე მგლის რვა ლეკვს ეკოლოგიური ფერმისთვის ზრდის, სადაც ტურისტები ცხოველებთან სურათებს იღებენ და მათ ეფერებიან. გოგონა რამდენიმე თავისი აღზრდილის ფილმების გადასაღებად და გადაცემებისთვის გადაცემას გეგმავს.

გოგონას თქმით, ის დღის უმეტეს ნაწილს ხორცს ჭრის, როგორც წესი, ქათმის და ბატკნის, შემდეგ კი მგლის ლეკვებს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას კვებავს. ლეკვები დღეში ორჯერ ჭამენ, ყოველი მათგანი ათ კილოგრამ ხორცს ჭამს.

– დაახლოებით ერთ საათს ვანდომებ ყველა მათგანის გამოკვებას, – აცხადებს ჩჟოუ, – ისინი მე თავს არ მესხმიან, თუმცა ზოგჯერ შეიძლება დამკაწრონ თავიანთი ბრჭყალებით. ამას ისინი განზრახ არ აკეთებენ.

ილეთს, რომელმაც გოგონას სახელი გაუთქვა, მგლის ლეკვებისთვის საკვების პირით მიცემას ჩჟოუ მათთან ემოციური კავშირის დასამყარებლად და განსამტკიცებლად იყენებს.

## ასტროპროგნოზი

### 6 დეკემბრისათვის



**ვერძი** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კურო** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ტყუპები** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **კირჩხიბი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ლომი** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **სასწორი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ღრიანკალი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ძალზე შესაფერისი დღეა მშვიდი დასვენებისათვის. შეგიძლიათ მოაწესრიგოთ საოჯახო საქმეები, იფიქროთ. **მერწყული** – თავს ნუ გადაიღლით. ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა. სასიყვარულო ავანტიურაში ნუ ჩაებმებით. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 2. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. ატომური ენერგიის მისაღები დანადგარი; 4. წყალქვეშა სასუნთქი აპარატი; 5. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 6. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 8. საგამოფენო ექსპონატების მოსათავსებელი დაფა; 11. ისტორიული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 14. თვალის ექიმი; 15. ქიმიური ელემენტი, აირი; 16. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 17. აეროპორტი ტოკიოში; 19. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 21. ინდოეთის ეროვნული გმირი; 22. ქართული ხალხური თამაში ქამრებით.

**თარაზულად:** 1. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 5. წყლის ნაპირებთან ბინადარი ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 7. ინდოეთში გავრცელებული ირემი; 9. საქართველოს პრეზიდენტი; 10. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი; 12. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 13. ისტორიული მოედანი პარიზში; 16. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 17. ბრიტანული ლუდხანა; 18. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 20. ძველბერძენი პოეტი, მწერალი; 22. ტროპიკებში მზარდი მარადმწვანე მცოცავი, ხვიარა მცენარე; 23. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უნივერსიტეტში; 24. სურნელოვანყვავილებიანი, ფოთლოვანი ხე; 25. ავსტრალიური ველური ძაღლი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯუნგლი; 2. წოტი; 3. ინდონეზია; 4. გოთუა; 5. ვერსაჩე; 8. რუზინე; 9. კალანდაძე; 12. რუტერი; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

**თარაზულად:** 1. ჯვირისწერა; 6. ანტიგონე; 7. ნიტრატი; 9. კესონი; 10. ბანა; 11. ხინკალი; 13. კანოე; 15. ლუგელა; 17. ვანდომი; 18. დევიზა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. არაბიკა; 3. ნეისმიტი; 4. ალიგატორი; 5. კომლი; 6. ესკიმო; 8. ჩაროზი; 11. ბალზამი; 14. იმპერატივი; 15. ვესტერნი; 16. ობლიგაცია; 17. ტატამი; 19. პალანგა; 21. კოლიო; 22. ფლორა.

**თარაზულად:** 1. მაგნოლია; 5. კაფე; 7. ლაჩარი; 9. კაპიტოლიუმი; 10. კაბერნე; 12. ამილაზა; 13. დიონისე; 16. ოსმალეთი; 17. ტუში; 18. ოპერა; 20. კარაბინი; 22. ფერმი; 23. ბარამბო; 24. ციროზი; 25. იგავი.

# ნინო ქათამაძე „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მიიწვიეს



მომღერალი ნინო ქათამაძე „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მიიწვიეს. ყველაზე რეიტინგულ შოუში მომღერალმა ჟიურის წევრის ამპლუა მოირგო და კონკურსანტები შეაფასა. ნინო სუხიშვილთან და გოჩა ჩერტკოევთან ერთად ნინომ კონკურსანტებს საყურადღებო რჩევები მისცა.

კონკურსში დარჩენილმა ვარსკვლავებმა და მათმა მეწყვილეებმა ორ-ორი ცეკვა შეასრულეს. მათ იცეკვეს ინდური, ჩინური, აფრიკული, ეგვიპტური და ესპანური ცეკვები, მეორე ნაწილში კი ქართულ სიმღერებზე იცეკვეს.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეებმა ვაჟა ტუღუშის „ქუჩაში ერთხელ“, ზურა მანაგაძის „ყვავილები თოვდა, თოვდა“, მგზავრების „ტანგო“ და გია ყანჩელის „ის აქ არის“ და „საით მიდიხარ“ შეარჩიეს და მათზე ორიგინალური საცეკვაო ნომრები დადგეს.

ამ საკონკურსო ტურში ლიდერები გიორგი გილიგაშვილი და სალომე ჭაჭუა გახდნენ, აუთსაიდერები კი რუსკა ქარქაშაძე და გიორგი ორბელაძე თავიანთ მეწყვილეებთან ერთად, თუმცა, რადგან ტრავმის გამო „ცეკვავენ ვარსკვლავები“ რატი დურგლიშვილმა და ეკატერინა კლიშინამ დატოვეს, შოუს ხელმძღვანელობამ ორივე აუთსაიდერი პროექტში დატოვა.

# ნინი გოგიჩაიშვილი „მის საქართველო 2018“-ის კონკურსანტია




მოდელი ნინი გოგიჩაიშვილი „მის საქართველო 2018“-ის კონკურსანტია.

სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრმა“ იმ საუკეთესო 20 გოგონას ფოტო გამოაქვეყნა, რომლებიც მის საქართველოს ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

წლევანდელი სილამაზის კონკურსის მონაწილეები არიან თაკო ხარაზიშვილი, თაკო ადამია, სალომე მხეცაძე, ნინუცა როსტიაშვილი, ნინი მუზაშვილი, ნინი ბურნაძე, ნინი ჯულაყიძე, ნინი გოგიჩაიშვილი, ნატალი გოგავა, ნატალი თოდაძე, ნანუკა ქაშიბაძე, მარეხი ახალაძე, ლიზი პაპასკირი, ლილე ლანჩავა, ლიკა ქობულაშვილი, ლანა გოგისვანიძე, ია სანაია, გვანცა ჩიტუაშვილი, დიანა მაიოროვა და დანცა ხაბეიშვილი.

„მის საქართველო 2018“-ის კონკურსანტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ლამაზმანები არიან და მათი ასაკი 16-დან 25 წლამდეა.

შარშან მის საქართველოს ტიტული ნია წივწივაძემ მოიპოვა.

# „ფარული კონვერტი“ ეთერში ახალი წლიდან დაბრუნდება



გადაცემა „ფარული კონვერტი“ ეთერში ახალი წლიდან დაბრუნდება.

ინფორმაცია ამის შესახებ გადაცემის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– „ფარული კონვერტის“'ერთგულ მაყურებელს: გადაცემა „ფარული კონვერტი“ ია ფარულავასთან ერთად'ეთერში ახალი წლის შემდეგ დაბრუნდება. მას შემდეგ, რაც მეგა პროექტი „მხოლოდ ქართული“ დასრულდება. წინ ბევრი საინტერესო გადაცემა გელოდებათ. დაგველოდეთ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ბუბა კუდავამ ნიკა რურუას უცნობი მოგონება გაასაჯაროვა

ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ კულტურის ყოფილი მინისტრის ნიკა რურუას უცნობი მოგონება გაასაჯაროვა:

– ნიკა რურუა სულ წერდა. როგორც თავად განმარტა ერთი წიგნის შესავალში, ბავშვობიდანვე.

დღეს ერთადერთი მახარებს: რომ ჩემი და ჩემი კოლეგების ინიციატივით, მისი ნაწერების დიდ, სამწუხაროდ, უკვე სასრულ რაოდენობას, არაერთი საინტერესო ნააზრევი და ორიგინალური ჩანახატი შეემატა.

ნიკას ეს მოგონება ახლა პირველად ქვეყნდება და აღმოჩნდა, რომ ის ჩემი ბოლო „დაკვეთა“ ყოფილა.

მივწერე, ერთი საინტერესო წიგნისთვის საბჭოთა კავშირის შესახებ მოგონებებს ვაგროვებთ, ერთ პატარა მოგონებაში უნდა ჩანდეს, რაც იყო საბჭოეთი-მეთქი. დედლაინი როდისააო (საქმეში როგორი იყო, გახსოვთ). მალევე გამომიგზავნა. შეხსენება არასოდეს სჭირდებოდა.

პატარა ბავშვივით გაუხარდა, როცა მივწერე, ძალიან მომეწონა-მეთქი. წამებში ხვდებოდა, რაც გინდოდა და თუ ოკ-ის გეტყოდა, უზუსტესად ასრულებდა.

ეს ფოტოებიც მან გამომიგზავნა. მოგონებას დავურთოთ.

ბოლოს 19 ნოემბერს ვნახე. როდის გამოსცემო – კიდევ ერთხელ მოიკითხა. ავტორები ზარმაცობენ, განა ყველა შენ გგავს-მეთქი. გაეცინა და მოგეხმარებიო. უცხოურადაც გამოვცეთ მერე-მეთქი. აუ, ძაან მაგარიო და დავიშალეთ... აღმოჩნდა, რომ სამუდამოდ...

აი, ის ბოლო „დაკვეთაც“. ბევრ სხვა ნიჭთან ერთად, წერისაც უხვად ჰქონდა დაბერტყილი, მოგეხსენებათ:

პირველი ტკივილი

საბავშვო ბაღში სულ ერთი წელია, რაც დავდიოდი და ის ძალიან მომწონდა. მომწონდა მცენარეებით სავსე ეზოში თამაში, (როგორც მოგვიანებით გავიგე, საბავშვო ბაღი „გაკულაკებული“ საბჭოთა ფუნქციონერის სახლში მოეწყოთ, მფლობელისთვის მისი ჩამორთმევის შემდეგ), საახალწლო ზეიმები, ზოია და ნელი მასწავლებლების მოყოლილი სხვადასხვანაირი ამბები, თბილი კომშის კომპოტიც კი.

ერთადერთი, რაც არ მომწონდა, იყო ის, როცა დედაჩემს ან დეიდაჩემს საღამოს აგვიანდებოდა და სხვა ბავშვების წასვლის მერე ცარიელ ოთახში ვიჯექი ერთი-ორ ჩემნაირად „მივიწყებულ“ და ყურებჩამოყრილ ბავშვთან ერთად. ამ დროს მეგონა, რომ აღარასოდეს მომაკითხავდნენ და ბაღში სამუდამოდ მტოვებდნენ. და როგორც კი ეს ფიქრი აუტანელი ხდებოდა, იმ წუთს კარი იღებოდა და დედაჩემი, ან ბებიაჩემი, ან დეიდაჩემი სწრაფი ნაბიჯით შემოაბიჯებდა უკვე თითქმის ჩაბნელებულ ოთახში, პალტოს მაცმევდა და სახლისაკენ ჰერი-ჰერი. თუმცა, ეს საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, ასე რომ ბაღი, ძირითადად, სასიამოვნო გამოცდილება იყო ჩემს, ჯერ მხოლოდ ხუთწლიან ცხოვრებაში.

ერთ მშვენიერ დღესაც ბაღში მასწავლებელმა ძალიან საინტერესო რაღაც მოგვიყვა, რაც ძალიან გამიხარდა, რადგანაც მიყვარდა სახლში ჩემი ბაღის ამბების მოყოლატრაბახი და ამით ალბათ იმის ხაზგასმა, რომ ჩემს გარშემოც ხდებოდა მნიშვნელოვანი ამბები. ამიტომ რაღაც არაადამიანური მცდელობით მოვითმინე, რომ გზაშივე არ მეამბო დედაჩემისთვის, ის, რაც იმ დღეს გავიგე. სახლამდე ტუჩებმოკუმულმა მივაღწიე. სახლში მამაჩემი შემოგვეგება. იქვე ბებიაჩემიც ფუსფუსებდა. მოკლედ, მთელი ჩემი აუდიტორია სრულად იყო წარმოდგენილი. გადავწყვიტე გამდიდრებული გამოცდილების გაზიარება დამეწყო.

პირველად მამაჩემს მივმართე. რაღაც უნდა მოგიყვემეთქი. გისმენო, მითხრა. დე, შენც მინდა იყო ოთახში – ვუთხარი დედაჩემს. კარგიო – იყო პასუხი. ბებიაჩემი უსიტყვოდ მიღიმოდა. მას არ ჭირდებოდა ჩემი თხოვნა – ისედაც უყვარდა ჩემი სმენა. ყოველ შემთხვევაში ასე მეგონა. მოკლედ, დავიწყე სიტყვით გამოსვლა.

მოკლე შესავალში ვთქვი, რომ დღეს ზოია მასწავლებელმა ძალიან მაგარი რაღაც მოგვიყვა. საქმე შემდეგში იყო: თურმე, ადრე არსებობდა ერთი უსაყვარლესი და უკეთილესი ბავშვი, რომელსაც დიდი ლოყები და ქერა კულულები ჰქონდა, ვისი ფოტოც მთელ ბავშვებს ერთად გვაჩვენეს. არათუ გვაჩვენეს, მერე ჩვენი ჯგუფის სათამაშო ოთახის ყველაზე გამორჩეულ ადგილას, ბუხრის პირდაპირ დაკიდეს. ამ ქერა, დიდლოყებიან და უსაყვარლეს ბავშვს თურმე მსოფლიოს ყველა ბავშვებისთვის სიკეთის მოტანა უნდოდა და როცა გაიზარდა, ზუსტად ეს გააკეთა – მთელი მსოფლიოს ბავშვებს უდიდესი ბედნიერება მოუტანა. ამ საყვარელ ქერა ბუთხუზას სახელად ერქვა ვალოდია. მისი გვარი ვერ დავიმახსოვრე. მაგრამ მამაჩემი უცებ მიხვდა, რომელ ბავშვზეც ვუყვებოდი და გვარი თვითონ მკითხა. შემახსენა, უფრო სწორედ. კი, კი, სიხარულით დავუდასტურე მე. ლენინი. ლენინი. კი. ვალოდია ლენინი.



უცებ ვერ მივხვდი, რატომ გადახედეს ერთმანეთს დედაჩემმა და მამაჩემმა. ბებიამაც ჩაიქირქილა. პაუზა გაიწელა. ველოდებოდი ერთხმად გამოხატულ, ვოკალურ აღფრთოვანებას, როგორც ხდებოდა ხოლმე, როცა ბაღიდან რაიმე ახალ ამბავს სახლში მოვიტანდი.

პაუზა უკვე აუტანელი, მეტიც – დამაბნეველი გახდა. ის მამაჩემმა დაარღვია. უცებ დასერიოზულებული ხმით. და პირდაპირ მე, მის 5 წლის ვაჟიშვილს მომმართა:

– ნიკო, იცოდე, რომ ეგ ყველაფერი, რაც ზოია მასწავლებელმა მოგიყვათ ბაღში, ტყუილია. და ეგ ვალოდიაც ძალიან ცუდი კაცი იყო. რომ გაიზრდები, მერე მიხვდები რატომაც. ამიტომ, ეგ აღარ გაიმეორო არასდროს.

ჯერ დავიბენი. მერე უცებ საშინლად გავბრაზდი და მივხვდი, რომ მამაჩემი არ ხუმრობდა. თავი მოტყუებულად და გაბითურებულად ვიგრძენი. პირველად ცხოვრებაში. და უცებ სიბრაზისა და სირცხვილისაგან ხმამაღალი ღრიალი მოვრთე. ძალიან ხმამაღლა და მთელი არსებით. დედაჩემმა ჩამიხუტა და მამაჩემს რაღაც დაუცაცხანა. მე უფრო ხმამაღლა ავტირდი. მამაჩემი ოთახიდან გავიდა. დედაჩემმა ჩემი თავი ბებიას გადააბარა. ახლა იმან ჩამიხუტა და თავზე მოფერებით ჩემს დამშვიდებას შეუდგა. კარს იქიდან კი დედაჩემის და მამაჩემის კამათი მესმოდა. რაღაც ისე მახსოვს, რომ დედაჩემი მამაჩემის ჩემდამი ასეთ დაუნდობელ პირდაპირობას აპროტესტებდა. მამაჩემი არ თმობდა და ამბობდა, რომ სჯობდა სიმართლე დროზე გამეგო თუ რაღაც ამგვარი. მე ვტიროდი და ეს აღარ მაინტერესებდა. ვტიროდი. ხმით. და ვერაფერი მამშვიდებდა, ვერც დედაჩემის ჩახუტება, ვერც ბებიაჩემის ღიმილი და თავზე ხელი. მივხვდი, რომ შეიძლება იმანაც კი მოგატყუოს, ვისაც ძალიან ენდობი, ამ შემთხვევაში ჩემმა საყვარელმა ზოია მასწავლებელმა.

ბოლოს, როგორც იქნა, დავმშვიდდი. მაგრამ ის დღე არასდროს დამვიწყებია. იქიდან დაიწყო იმის შეგრძნება, რომ არსებობს ორი სინამდვილე – ერთი, ოფიციალური, რომელიც ტყუილია და რომელსაც არ უნდა ვენდო. და მეორე – არაოფიციალური, რომელიც სანდოა და მართალი. დაიწყო მტკივნეული, დიდხანს გაუგებარი და გახლეჩილი აღქმა გარშემომყოფი სამყაროსი, სადაც ძალიან დიდხანს „კარგი“ „ცუდი“ იყო, და „ცუდი“ – „კარგი“; სადაც მთავრობა მტერი იყო, და თავისუფლება – უცხო, გაუგებარი და ცოტა საშიში, და ამავე დროს, შინაარსდაკარგული სიტყვა. მოკლედ, საბჭოთა ადამიანის შიზოფრენიულ დიქოტომიას 5 წლის ასაკში ვეზიარე.

ახლა რომ ვუკვირდები, იმ დღემ მეტწილად განაპირობა ის, როგორ ადამიანადაც ვიქეცი მომდევნო ათწლეულების განმავლობაში, მაგრამ ეს სულ სხვა მოთხრობის თემაა.

**ნიკა რურუა. 19 ივნისი, 2018**

# თეკა კახიძე „მხოლოდ ქართულს“ მადლობას უხდის

ჯანსულ კახიძის შვილი თეკა კახიძე მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართულის“ შემოქმედებით გუნდს მთელი კახიძეების ოჯახის სახელით მადლობას უხდის. ამის მიზეზი „მხოლოდ ქართულის“ პირველი საკონკურსო ტურის ჯანსულ კახიძის შემოქმედებისათვის დათმობა გახდა.

**თეკა კახიძე:**

– კახიძეების ოჯახის სახელით გულწრფელი მადლობა პროექტის „მხოლოდ ქართული“ მესვეურებს, რომ გაიხსენეს მამას შემოქმედება და შესაძლოა გააცნეს კიდეც უამრავ ახალგაზრდას. დიდი მადლობა ჟიურის წევრებსა და გადაცემის სტუმრებს ამდენი თბილი ემოციისთვის და სიტყვისთვის! ვულოცავთ ყველა კონკურსანტს, რომ თავისებურად შეძლეს ამ სიმღერების გათავისება და მსმენელამდე მიტანა, რადგან იმღერო ეს სიმღერები, როგორც ჯანო კახიძე მღეროდა, ფაქტიურად შეუძლებელია, ხოლო იმღერო შენებურად, იპოვო სწორი მიდგომა და ახლოს მიხვიდე მის სტილთან, უაღრესად რთულია... ეს მის შვილებსაც კი გვიჭირს... ამიტომ ზოგს გამოუვიდა მეტ-ნაკლებად და ზოგს არა... მერე რა, მთავარია გაბედეს და იმღერეს, თანაც ყოველგვარი „რემიქსების“ გარეშე, რაც ჩვენი ოჯახის მთავარი სურვილი იყო!



წარმატებას ვუსურვებთ შემდეგ ტურში გადასულ მონაწილეებს და ვიმედოვნებთ, რომ შემდეგ კონცერტებზეც ასეთი მონდომებულები და მოტივირებულები იქნებიან.

**კალეიდოსკოპი**

# მსუქანმა ქალმა შეყვარებული მუცლით გაგუდა



ამერიკელმა ქალმა ვინდი ტომასმა თავი დამნაშავედ ცნო შეყვარებულის მუცლის დახმარებით გაგუდვაში.

საქმის მოსმენა პენსილვანიის შტატის ერის ოლქის სასამართლოში გაიმართა. მიმდინარე წლის მარტში 44 წლის ტომასმა, რომელიც 133 კილოგრამს იწონის, თავის მეგობარ მამაკაც კინო ბატლერთან იჩხუბა. ქალმა მამაკაცს მაგიდის ფეხით სცემა, ხოლო ხელში ჭრილობა დასაკეცი დანით მიაყენა. ამის შემდეგ კი ის 57 კილოგრამიან მამაკაცს ზევიდან დააწვა და მისი სახე თავისი მუცლით გადაფარა. მამაკაცმა თავის დაღწევა ვერ შეძლო და გაიგუდა.

ტომასის ადვოკატი მარკ დელ დუკა ამტკიცებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა მკვლელობა წინასწარგანზრახვის გარეშე ჩაიდინა. მისი თქმით, მან ზომაზე მეტი დალია და უგონო მდგომარეობაში მყოფი ბატლერს ზევიდან დაეცა. როდესაც ის გონს მოვიდა და მიხვდა, რაც ჩაიდინა, მაშინვე პოლიციაში დარეკა. მის ამ ვერსიას პროკურორი არ დაეთანხმა და შენიშნა, რომ მამაკაცს თავზე მაგიდის ფეხით მიყენებული დაზიანებები აღენიშნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტომას მისთვის ზიანის მიყენება ჰქონდა განზრახული.

მოსამართლემ ქალი მესამე ხარისხის მკვლელობის ჩადენაში დამნაშავედ ცნო. მას 18-დან 36 წლამდე პატიმრობა ემუქრება. საბოლოო განაჩენი დეკემბრის ბოლოს გამოცხადდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6800

ევრო — 3.0571

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4112

100 რუსული რუბლი — 4.0063

## ამინდის პროგნოზი 6 დეკემბრისთვის





## საქართველოს ისტორია პატარებისთვის

## 6 დეკემბრიდან

ამ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი




წიგნი მოიცავს პერიოდს ქვის ხანის ადამიანიდან ქვეყნის გაქრისტიანებამდე.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


# ავსტრალიაში რეალური პიკაჩუ იპოვეს

ავსტრალიაში იპოვეს კუდფუნჯა, რომლის ბეწვმა მუტაციის შედეგად ღია ყვითელი შეფერილობა მიიღო. მას პიკაჩუ დაარქვეს პაკემონთან მსგავსების გამო.

ვიქტორიას შტატის ქალაქ მელბურნის მცხოვრებმა ცხოველი მელიის მსგავსი ოპოსუმი, მიწაზე გაუნძრევლად მწოლიარე



ალმოაჩინა და ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმმა სტივენ რაინიშმა განმარტა, რომ ცხოველის ბეწვმა უჩვეულო ოქროსფერი შეფერილობა მელანინის შემცველობის დაბალი დონის გამო მიიღო. მან ივარაუდა, რომ პიკაჩუ დედის ზურგიდან გადმოვარდა. ცხოველი დაახლოებით ხუთი თვისაა.

მისი საგულდაგულო გასინჯვის შედეგად დადგინდა, რომ ის სრულიად ჯანმრთელია. მან საავადმყოფოში ერთი ღამე გაატარა, შემდეგ კი ის გარეულ ცხოველთა დაცვის ცენტრს გადასცეს. სავარაუდოდ, მას ჩვეულ გარემოში აღარ დააბრუნებენ, ვინაიდან მისი უჩვეულო შეფერილობის გამო ის მტაცებლების მსხვერპლი ადვილად გახდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ჟოზე მოურინიო: „ოთხეულში შესვლა გაგვიჭირდება“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა რომ მის გუნდს წელს ძალიან გაუჭირდება პრემიერ ლიგაში პირველ ოთხეულში მოხვედრა, რადგან მანჩესტერი სტაბილურ თამაშს ვერ აჩვენებს:



– სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად ვკარგავთ ქულებს ისეთ დროს, როდესაც ამისი უფლება არ გვაქვს. თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ძალიან გაგვიჭირდება პირველ ოთხეულში მოხვედრა. უკვე ყველაფერი ჩვენზე დამოკიდებული აღარ არის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იუმორი

აფთიაქში შესული მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– თუ შეიძლება, ორი კილო ბამბა მომეცით.

– ამდენი რისთვის გინდათ?

– ამას წინათ, ტურისტულ მოგზაურობაში წასვლის წინ, ცოლი მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად გავგზავნე და თამბაქო მომიტანა, ჰოდა, თითები მეტკინა თამბაქოს შეხვევით.

– მერე?

– მერე და ის, რომ ახლა ისევ მივდივართ ტურისტულ მოგზაურობაში და ცოლმა ტამპექსის საყიდლად გამომიშვა...

●●●

სიდედრი სიძესთან ახალგაზრდობას იხსენებს და ეუბნება:

– იცი, ახალგაზრდობაში, სულელი, გულუბრყვილო და ულამაზო ვიყავი...

– მართლა? საერთოდ არ შეცვლილხართ.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– მაგ შენ ძველ ზაპოროჟეცს მრგვალი ფარები რატომ აქვს?

– აბა რა იქნება, ძრავა სად დაუყენეს, არ იცი?

●●●

მამაკაცის სტრიპტიზზე სიარულის ორი მიზეზი არსებობს:

პირველი მიზეზი – მამაკაცი უცოლოა, მეორე მიზეზი – მამაკაცი ცოლიანია.

●●●

მრავალსართულიან სახლში ხანძარია. მეხანძრეები სართულიდან სართულზე დარბიან, მობინადრეები გამოჰყავთ. განწესის მეთაური ერთ-ერთი ბინის კარს შეაღებს და ხედავს, მისი ხელქვეითი გოგონასთან სექსითაა დაკავებული. გაოგნებული მეხანძრეს უყვირის:

– შენ რა, მთლად გამოშტერდი?

– არა, ბატონო მეთაურო, აი გოგონა გადავარჩინე, იგუდებოდა, ხელოვნური სუნთქვა...

– რომელი ხელოვნური სუნთქვა? ხელოვნური სუნთქვა პირიდან პირში კეთდება.

– პრინციპში, მეც მასე დავიწყე...

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– მართლა დიასახლისი ხარ?

– დიახ.

– მაგარია. აბა რაიმე მითხარი, დიასახლისს რომ სჩვევია ისეთი.

– მოკეტე და რაც მოგიტანეს, ის ჩაცეცხლე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00–19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00–19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


# კოკორინი და მამაევი ციხეში 8 თებერვლამდე დარჩებიან



ალექსანდრ კოკორინი და პაველ მამაევი 8 თებერვლამდე ციხეში დარჩებიან.

მოსკოვის სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

8 თებერვალს ამ ორი ფეხბურთელის სასამართლო პროცესი გაიმართება და შეიძლება ისინი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლონ.

კოკორინს და მამაევს ბრალი ხულიგნობაში ედებათ, რადგან მათ მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ერთ-ერთ კაფეში რუს ჩინოვნიკს სცემეს, ხოლო შემდეგ კი რუსული არხის იერტეს წამყვანის მძღოლს გაუსწორდნენ.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ფეხბურთელებს რამდენიმეწლიანი პატიმრობა ემუქრებათ.

# ანტუან გრიზმანი: „ოქროს ბურთი ფრანგ ფეხბურთელს უნდა მოეგო“



ანტუან გრიზმანმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ოქროს ბურთი მან, ან რომელიმე ფრანგმა ფეხბურთელმა არ მოიგო.

გრიზმანის აზრით, ეს ტიტული საფრანგეთის ნაკრების რომელიმე ლიდერს უნდა მოეგო.

– მოდრიჩი შესანიშნავი ფეხბურთელია და მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმცა სამართლიანი იქნებოდა, რომ ეს ჯილდო ფრანგ ფეხბურთელს მოეგო, რადგან მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენი ტრიუმფით დასრულდა და რამდენიმე ჩვენგანმა საკლუბო ტურნირებზეც მიაღწია წარმატებას, – განაცხადა ანტუან გრიზმანმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. დაბალი რანგის დიპლომატი; 2. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 3. ლითონის ან ხის დასამუშავებელი დანადგარი; 4. კროსვორდის გამომგონებელი; 6. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ იყო არჩეული აშშ-ის პრეზიდენტად; 9. ქართველი მოდელიორი ქალი; 14. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 15. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში, შეჯიბრება; 17. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 18. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 20. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 1. ირლანდიის დედაქალაქი; 5. შხამიანი გველი; 7. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, უქონელი, ღარიბი ადამიანის ძველებური სახელწოდება; 8. სადილის ან ჩაის ჭურჭლის კომპლექტი; 10. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 11. ხეებზე, ქვებზე მზარდი უფესვო-სპოროვანი მცენარე; 12. სვან მამაკაცთა ცეკვა; 16. ფრანგული პური; 17. ქვანახშირის უჰაეროდ გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი; 19. მდინარე ჰამბურგში; 21. კოლუმბიელი პოპ-ვარსკვლავი ქალი; 22. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 23. კომბინაცია პრეფერანსში; 24. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**